



გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კან. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კან.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—«წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, საზღვარის ქუჩაზე, № 35. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція «КВАЛИ».

შინაარ. : სინამდვილის გამოქვეყნება, დ. თაფურიძისა. — კიდევ შავი ქვის მრეწ. კრება, გ. მარმალაძისა. — სხვადასხვა ამბები. — გორის მხარის დენიები. — რუსეთის ცხადება. — საზღვარ გარეთ. — გასული წელი რუსეთში, ა. ზ. — ისა. — ერთგული დედა, მათ. ტრ. რამიშვილისა. — ყუაყუაფერი ისე. . სარტყლეტი, სიგ. ვ. ვასილიუვისა, თარგ. კ. კ. — ძისა. — უსაო. შენიშე. უსიტ. გ. ზ. არიოსისა. — ხეში შთანქცადება, ა. წულუკიძისა. — შავი ქვის მრეწ. მუხუთე კრება ქუთ, გარეშე მეთაფურისა. — ენიანობა, ზ. კიკელიძისა. — განცხადება.

საბოლოოტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო
ნახაზებიანი გაზეთი

„კ ვ ა ლ ი“

(წელიწადი მეთერთმეტე)

გამოვა 1903 წელსაც ყოველ კვირა დღეს 1—3 თაბახამდე. გაზეთი წლიურათ ღირს თფილისში 7 მან., თფილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ 4 მან., ხალხს სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამ შურათ. ადრესის გამოცვლა თფილისს გარეთ ღირს ორ მანათ.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-ნაწილათავე შემიტანონ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „КВАЛИ“.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თაკაღ-აზნაურობის ქარვასლა); რკინის გზის სადგურზე შირველი კლასის ბუფეტში, ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში.

ქუთაისში: მიტროფანე ჯაღიძესთან, ვ. ბუჯანიშვილის წიგნის მაღაზიაში და ქუთ. გამომცემელ ამსახვების კაისკში; ბათუმში სპირიდონ ჭელიძის წიგნის მაღაზიაში; ოსურგეთში და ხალხს-ნაკში—კ. თაყაიშვილის წიგნის მაღაზიაში; ჭიათურაში—კალისტრატე ჭიჭინაძესთან და გერასიმე ბერძესთან; ყვრილასში—ივანე არდიშვილთან; დაბა ხანში—სასახლო სამკითხველთაში; ძველ-სუნაში—არსენ წითაძესთან; ოსურგეთში—დომენტი შავაშვილთან; საბუნჩაში—დომიტრი მეღაძესთან.

სინამდვილის გამოქვეყნება
თუ ინსინუაცია?

საზოგადო მოღვაწენი და პრესის წარმომადგენელნი სხვადასხვა გულისთქმისანი არიან: ერთნი აშკარათ ეწინააღმდე-

გებიან ყოველგვარ წინსვლას, პროგრესს და სრულიადაც არ მალევენ, რომ ისინი ჯიბის პოლიტიკას ემსახურებიან.

მეორენი სიტყვით ცდილობენ დაუმტკიცონ ქვეყანას, რომ ისინი ქვეშაობის მოტრფილენი არიან დიად იდეათა განხორციელებისა, საქმით კი მუდამ დალატობენ თავისს სიტყვას, მუდამ ფარისევლობენ. მათ არა აქვს ერთი განსაზღვრული ფიზიონომია, იგინი ყურმოჭრილი მონები ხდებიან ქონებით ძლიერ ბურჟუაზიისა.

მესამენი—პატიოსანი რადიკალები, რომელნიც თანაუგრძნობენ დაჩაგრულებს, მაგრამ თავისებურათ; მათ არა აქვთ მიზნათ ცხოვრებაში რადიკალური ცვლილება მოახდინონ.

ბოლოს—მეოთხენი—ისინი, რომელთაც მეცნიერულათ გაუთვალისწინებიათ მომავალი ცხოვრების პირობები და კიდევაც ცდილობენ უკეთესს მომავალს შეუფარდონ თავისი მოღვაწეობის პროგრამა, თავისი მოქმედება საზოგადო ასპარეზზე. ეს მეოთხე ჯურის მოღვაწენი თავისს იდეალს—მიზანს ამყარებენ ცხოვრების ვითარების კანონების შესწავლაზე და მეცნიერულათ ამტკიცებენ, რომ მხოლოთ ის მოქმედება გვახლოვებს დიად მიზანთან, რომელიც პირნათლათ, უკომპრომისოთ ატარებს ცხოვრებაში თავისს პრინციპებს.

ახლა გავითვალისწინოთ ჩვენი პრესა და ზოგიერთი ჩვენი მამულისშვილთა მოღვაწეობა.

მკითხველი ადვილათ დაგვეთანხმება, რომ „ივერია“ და მისი უმაჯრესი პუბლიცისტი „ტფილისელი“ თითქმის საცემით ეკუთვნიან ჩვენგან დასახლებულ პირველ ჯგუფს მოღვაწეებისას. ისინი თავისს დახვედრულ და წინსვლის მოწინააღმდეგე აზრებს თამამათ ლაღადებენ და ამიტომ სიტყვის გაგრძელება მათ შესახებ მეტია.

სულ სხვაა „ც. ფ.“ ისიც ვერ წასულა შორს: ის ხან საცემით მოგაგონებთ „ივერიას“, ხან კი გაეხვევა მაღალ ფრაზების მანტიასი და მოყვება ბაასს კაცობრიობაზე, დაჩაგრულთა ინტერესებზე... მაგრამ ეს მხოლოთ რეკლამა და სრულიად არ გამოხატავს „ცნ. ფურც.“ სულისკვეთებას. ეს კიდევ ცოტაა! წმინდა სამსახური დიადი იდეალისა „ცნობ.

ფურც. " ბუნებას ეწინააღმდეგება. ამას ნათლათ ამტკიცებს ამ გაზეთის საქციელი ჭიათურის საქმეებში.

შავი ქვის წარმოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის მცხოვრებთათვის და შავი ქვის მწარმოებელთა კრება იწვევს გაცხარებულ კამათს. და აი სწორეთ აქ ირკვევა ნამდვილი ფიზიონომია პარტიათა და ისიც, თუ ვის და რას ემსახურებიან სხვადასხვა გაზეთები. ჭიათურის მრეწველთა შეტაკებაში აიძულა „ცნობ. ფურცელიც“ აეხადა პირბადე და დაენახებინა თავისი ნამდვილი სახე. ამ „სახის“ დანახვაზე შეერთა ბ. „სიტყვა“ და ისევ „ცნობის ფურცელში“ თავის ცოტა დაგვიანებულ „პატარა ამბებში“ (კვირის მაგივრათ სამშაბათს გამოვიდა?) გამოაცხადა: „შავი ქვის საქმეში მე სრულად არ ვეთანხმები რედაქციას“— (კურსივი ჩვენია). გაზეთი „ცნობის ცუტყლის“ ლიდერი წინააღმდეგ „ცნობ. ფურცლის“ რედაქციას და ყოველად უნიჭო ვითომ პუბლიცისტის „გარეშის“ ამტკიცებს შემდეგს: „მე კი ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ოპოზიციაში არსესობს ჯგუფი (უმეტესი ნაწილი), რომელსაც მხოლოდ საზოგადო საქმისა და სიმართლისადმი სიყვარული ალაპარაკებს“— (ა. „უსიტყვო“ „ცნობის ფურცლის“ მეთაური — „გარეშე“ კი ამბობს: ოპოზიციის „მხურვალე სურვილია მარგანეცის მრეწველთა თვით მმართველობა მოისპოს“. იგივე ჭეშმარიტ პუბლიცისტიკაში „გარეშე“ ყოველ, ნომერში, მოშლოლი „არღანივით“ იმეორებს: „კალისტრატე, კვალელი და ემერიკი ხელი ხელ გადახვეული ერთათ მოქმედებენო“: აი სწორეთ ასეთ ვაჟბატონებზე ითქმის „и красивъ ты не къ лицу и умень не к стати“.

განა არის რაიმე სიმართლე „გარეშის“ ნათქვამში? ბ. ზდანოვიჩის წინააღმდეგია კალისტრატე, ემერიკი და კვალელი; აქედან ბ. „გარეშის“ „ცნობის ფურცლის“ ლოლიკის ძალით გამოყავს ასეთი დასკვნა: კალისტრატე=ემერიკი=კვალელი!?. არ ვიცი თქვენ რა აზრისა ხართ, მკითხველო, ბ-ნ „გარეშის“ შესახებ, მაგრამ მე კი მოგახსენებთ, რომ ასეთი ლოლიკის პატრონი საღ მსჯელობასთან მწყურალათ უნდა ბრძანდებოდეს...

„ცნობ. ფურცლის“ სწორეთ იმავე ნომერში სადაც ბ. „გარეშე“ მოშლილ „არღანივით“ იმეორებს თავის სიმღერას (კალისტრატე და სხვ.), არის მოყვანილი ჟორესის სიტყვა. ამან მომაგონა საფრანგეთის პარტიათა შორის უკანასკნელ წლებში მომხდარი ბრძოლა, როდესაც სამინისტროში ვალდეკ-რუსსო და გენერალ გალიფეს (რომელმაც ერთ დროს ათასობით ამოკლტა მოწინავე და საუკეთესო შვილები საფრანგეთის რესპუბლიკისა) შუა დასკუბდა „სოციალისტი“ მილრანი. გედისტები და ბლანკისტები (ორივე საფრანგეთის სოციალისტთა პარტიაში შეადგენენ უკიდურესს მემარცხენეს) სასტიკათ კიცხავდენ მილრანს და თხოულობდენ იმის პარტიიდან გაძევებას, როგორც მოღალატისას, მეორე მხრით, მელინისტები, როიალისტები და სხვა (რეაქციონერები, მემარჯვენენი და უკიდურესი მემარჯვენენი) იბრძოდენ ვალდეკ-რუსსოს და მილრანის წინააღმდეგ, ცდილობდენ ამ სამინისტროს დამხობას და მათ სამაგიეროთ ისევ მელინისა და მისი მომხრეების გაბატონებას. ამნაირათ, მილრანის და გალიფეს წინააღმდეგ იყვენ, როგორც უკიდურესი მემარცხენენი, ისე უკიდურესი მემარჯვენენი: ამ გარემოებით თავისებურათ, „პატიოსნურათ“ ისარგებლეს მილრანის მომხრეებმა და ასტეხეს კიჟინი: „როიალისტები, გედისტები და მელინისტები ხელი ხელ გადახვეულნი ერთათ მოქმედებენო... გედისტებიც პროგრესის, რესპუბლიკის მტერიაო“ და სხვა—სწორეთ ისე, როგორც ეხლა ბრძანებს ბ. „გარეშე“.

რა იყო საერთო როიალისტებ-მელინისტებ და გედისტ-

ბლანკისტებ შორის? მელინისტ-როიალისტებისათვის ვალდეკ-მილრანი იყვენ გადაქარბებული მოტრფიალენი წინ-სვლისა და მტერნი კლერიკალიზმისა: ვალდეკ-მილრანს მხარში ლიბერალიზმიც აშინებდა რეაქციონერებს, ვალდეკ-მილრანის ტები კი კიცხავდენ ვალდეკ-მილრანს იმიტომ, რომ ესენი მხოლოდ სიტყვით ლიბერალობდენ და საქმით სულ წინააღმდეგს ამტკიცებდენ; კერძოთ გედისტები მილრანის წინააღმდეგი იყვენ, როგორც პარტიის ძირითადი პრინციპის მოღალატესი და გალიფეს ამხანაგის (მილრანის დროს სამინისტრომ არა ერთხელ მიმართა გალიფეს ზომებს). ახლა მიბრძანეთ, რაა საერთო ოპოზიციაში მყოფ ორ პარტიათა შორის (უკიდურეს მემარცხენე და უკიდურეს მემარჯვენეთა შორის)?!

საფრანგეთში უტიფარი ადამიანები და პრესა (ისე, როგორც ჩვენში „ცნობ. ფურცელი“ და „გარეშე“ ჭიათურის საქმეში) გედისტ-ბლანკისტებს უწოდებენ ნაციონალისტებს, რეაქციონერებს და მელინის თანამოაზრეებს... ამგვარ „ფრაზებს“ ხმარობენ ბრბოს მოსატყუებლათ, იმ ბრბოს, რომელსაც შავის თეთრისაგან გარჩევა არ შეუძლია. სხვა რა მიზანი უნდა ქონდეს ამ ვაჟბატონებს, როდესაც გედისტ მელინისტებს და კვალელ ემერიკ შორის განსხვავებას უარ ყოფენ და უსირცხვოთ კვალელებს „ბურჟუიზმის ტიპიური განხორციელების“ მოტრფიალეს უწოდებენ?!

მიზანი?.. მიზანი აშკარაა. სიმართლეს ეს ვაჟბატონები არ ემსახურებიან. მათ სულ სხვა ალაპარაკებს და ეს სხვა პიზაღი და კომერციული ინტერესებია; მათი ფრაზები კი დემაგოგიური საშუალებაა. ოღონდ თავიანთ მიზანს მიადწიონ, ოღონდ შემთხვევითი უმრავლესობა მოიპოვონ და „გარეშეებისათვის“ ყველა საშუალება კარგია... მაგრამ კვალელების ფიზიონომია საკმარისათ გამორკვეული და სპეტაკია; „გარეშეების“ ბოღვა მათ ჩირქს ვერ მოსცხებს.

მაგრამ დაეუბრუნდეთ „ცნობ. ფურც.“ გმირთა გმირს. რას ან ვის იცავს „ცნობ. ფურცელი“?

ბ. ზდანოვიჩს.
რისთვის, რა ღირსებისთვის? რა საბუთები მოყავს ბ. ზდანოვიჩის გასამართლებლათ „ცნობ. ფურცელის“ ახალ მეთაურ „გარეშის“?

არაფერი, სრულიად არაფერი. ის მხოლოდ ილანძლება და მღერის თავის ჩახლენილი ხმით: „კალისტრატე, კვალელი, ემერიკი“ და სხვ.

რით დაიმსახურა ბ. ზდანოვიჩმა „სიტყვას“ მოკლებული „ცნობის ფურცელის“ პატივისცემა? დიადი წარსულით? დიადი აწმყოთი? აქ ერთი ამბავი მაგონდება. ერთი პროფესორი ქიმიკოსი მემუსიკეც იყო: ამ პროფესორზე ქიმიკოსები ლაპარაკობდენ: „ის წარჩინებული მემუსიკეა, მაგრამ როგორც ქიმიკოსი კი სუსტიაო“; მემუსიკეები ამბობდენ: „ის წარჩინებული ქიმიკოსია, მაგრამ როგორც მემუსიკე—სუსტიაო“.

იგივე შეგვიძლია ვსთქვათ ბ. ზდანოვიჩზე. როგორც დაჩაგრულთა ქომაგი—ის მკვდარია, როგორც მწერალი—ის მხოლოდ ყოფილი პუბლიცისტია (ავტორი რამოდენიმე უმნიშვნელო, არა პრინციპიალური წერილებისა), როგორც თავმჯდომარე—ის ცალმხრივია, როგორც საქმის კაცი—ის უსაქმურია.

აი ბ. ზდანოვიჩის სურათი, აი „ცნ. ფ.“ გმირი, აი შავი ქვის საქმეს ვინ უდგას სათავეში. აი ვისი წინააღმდეგია „კვალი“ *).

დ. თოფურთყე

P. S. ბ-ნი „გარეშის“ უთავბოლო პასუხზე ახალი არა გვაქვს რა სათქმელი; მხოლოდ ერთ ცვლილებას აღვნიშნავთ:

*] ფაქტები ბ. ზდანოვიჩის ჭიათურაში „მოღვაწეობის“ შესახებ საკმარისათ მოყვანილია ჩვენ გაზეთში.

ის უკვე ბოდიშს იხდის და მზათა არ გაიმეოროს თავისი უმგებანო ცილის წამება, მაგრამ იტყვიან: ჩვეულება რჯულებზე უმტკიცესიაო და ბ-ნ „გარეშესაც“ ისე შეუსისხლობრცვბია ყალბი აზრები, რომ ის ერთ და იმავე წერილში ბოდიშს იხდის და თავის შეცდომას კი ისევ იმეორებს: ის გაუტაცნია ბ-ნი ზდანოვიჩის გამარჯვების სურვილს და ამტკიცებს, რომ, თუ ბ-ნი ერისთავი ან სხვა ვინმე ამოირჩიეს მის მაგივრათ, მაშინ „ქართველ მრეწველობის და თვით-მართველობის პრინციპი დაიმარხება“-ო...

ნუთუ ასეთ უაზრო ფრაზას სიმართლის მოყვარეობა ალაპარაკებს ბ-ნ „გარეშეს“? ნუ თუ ამას გულწრფელათ ამბობს სინილისიერი და სალი გონების პატრონი ადაზიანი!?

დ. თ.

კიდევ შავი ქვის მწარმოებელთა საბჭოს შესახებ.

უკანასკნელ ჩვენ წერილში შავი-ქვის მწარმოებელთა საბჭოს მოღვაწეობის შესახებ უყურადღებოთ დავტოვეთ საბჭოს „ლიტერატურული ნაწარმოები“, ე. ი. მისი თხოვნები, რომელნიც მოყვანილია „ანგარიშში“. და ეს იმიტომ, რომ მასი უფრო საყურადღებო თხოვნები უკვე გარჩეული იყო „კვალში“ 1890 წ. და მას შემდეგ რომ ბ. ზდანოვიჩი თხოვნების წერას ვერ ისწავლიდა, თავისთავათაც ცხადი უნდა ყოფილიყო, მარა ეს კიდევ სადაოთ ყოფილა ზოგიერთისათვის და, როგორც მატყობინებენ, ბ. ზდანოვიჩში სწორეთ შუამდგომლობის აღძვრის ნიჟს დიდათ აფასებენ. რა ფუყოთ, რომ კარგი აღმინისტრატორი ვერ არის, ის სამაგიეროთ კაბინეტის კაცია და ისეთ ქალღღებს აკეთებს, რომ ქვას გახეთქსო—ამბობენ ბევრნიო. ამიტომ საჭიროთ დავინახეთ ამ „კაბინეტის კაცის“ ნაწარმოებიც გავარჩიოთ და მკითხველს დავანახოთ როგორი „ქვის მხეთქელია“ ისინი. პირველ ყოვლისა საკმარისია ისიც, რომ ბ. ზდანოვიჩის თხოვნებიდან შავი ქვის უმთავრეს საჭიროებათა შესახებ არასოდეს არავითარი ნაყოფი არ გამოსულა, გარდა უარის მიღებისა, რასაკვირველია, და მამსადამე არც მართლა ისეთი ქვის მხეთქელი ყოფილა, როგორც გონიათ. მარა ესეც შეიძლება, შუამდგომლობა კარგათ იყოს შედგენილი, ხოლო დაკმაყოფილებით კი მაინც არ დააკმაყოფილონ. რამდენათ მართალია ეს მოსაზრება, დავინახავთ ორი ასეთი შუამდგომლობის გარჩევით, რომელნიც ეხებიან ორ მთავარ კითხვას და მოთავსებულია საბჭოს ანგარიშში. ერთი შეეხება ქართული ენის შემოღებას კრებაზე სახმარებლათ და მეორე ტარიფის დაკლებას.

შავი ქვის მწარმოებელთა მესამე კრებაზე 77 მწარმოებელს მიუმართავს საბჭოსთვის თხოვნით შუამდგომლობა აღძარით მთავრობის წინაშე „о допущеніи обсужденія вопросовъ на засѣданіяхъ сѣзда, кромѣ русскаго, и на грузинскомъ языкѣ, или, покрайнѣй мѣрѣ, о допущеніи перевода основныхъ пунктовъ заявленій отдѣльныхъ членовъ сѣзда, и равно представителей различныхъ учреждений“ (გვ. 108), ე. ი. საბჭოს უნდა ეთხოვა კრებებზე რუსულს გარდა ქართულათაც ყოფილიყო ლაპარაკი, თუ არა და გადათარგმნის ნება მაინც მიეცათ. მერე, როგორ აასრულა ბ. ზდანოვიჩმა ეს მონდობილობა? ძლიერ ახირებულათ. მან იტვირთა ორი როლი: მთავრობის და მთხოვნელის. მან ჯერ თავისი ძალით უარყო შუამდგომლობის პირველი ნახევარი და თხოვნაში პირდაპირ გამოაცხადა, ეს შეუწყნარებელიაო! აი მისი სიტყვები: „Я прекрасно понимаю, что допустить пренія на грузинскомъ языкѣ въ собраніи промышленниковъ разныхъ

національностей, происходящемъ притомъ подъ предсѣдательствомъ лица, особо каждый разъ назначеннаго г. Министромъ Земледѣлія и Государственнаго Имущества Кавк. Горнаго Управленія, не представляется возможнымъ. Обязательнымъ языкомъ въ такомъ собраніи долженъ быть, конечно, языкъ государственный, т. е. русскій“ (იქ).

როგორც ხედავთ, ბ. ზდანოვიჩი რამდენიმეთ იავს იწონებს მინისტრის წინაშე, მე კარგათ ვიცი, რომ თუ ლი ლაპარაკი კრებაზე არ შეიძლებაო! რატომ მაინდა მაინც ასე იცის ბ. ზდანოვიჩმა და არა სხვა ნაირათ—ეს ალახმა უწყის. ის თითქოს ამპარტავნობს ამით და თან ახსენებს მთავრობას—ეს ასეა, მე არ მაგიწყდებაო. ვთქვათ ბ. ზდანოვიჩს სრული უფლება აქვს, როგორც უნდა ისეთი წარმოდგენა ქონდეს ქართულ ენაზე, მარა ქონდა კი მას უფლება, როგორც მწარმოებელთა რწმუნებულს, კითხვა ასე დაეყენებია ოფიციალურ ქალღღში? მას თხოვდა 77 კაცი, ითხოვე ქართულათ გვალაპარაკონ კრებაზეო და ან გადავთარგმევინონო. ცხადია, ბ. ზდანოვიჩს სწორეთ ეს ორნაირი შუამდგომლობა უნდა აღეძრა და ორივე რიგიანათ დავსაბუთებინა. აი ეს იყო მისი მოვალეობა და არა სხვა რამე. მან კი უღალატა ამ მოვალეობას, როცა შუამდგომლობის პირველი და ყველაზედ უსაჭიროესი ნაწილი თათონვე უარყო და ეს უარისყოფა დაასაბუთა. ვინ სთხოვა ბ. ზდანოვიჩს ეს ასე მოიმოქმედეო? და თუ თითონ დარწმუნებული იყო არაფერი გამოვიდოდა, განა არ შეეძლო ამ კითხვას სრულიადც არ შეხებოდა და პირდაპირ გადათარგმნა ეთხოვა? მარა არა, მას სწადდა მინისტრისათვის დამტკიცებინა, რომ აი 77 კაცს არაფერი გაეგება ამისი, ითხოვენ შეუძლებელსო, ხოლო მე კი ყოველივე ვიცი და გამეგებაო. ამით მან ეს კითხვა საშუდამოთ, როგორც რუსები იტყვიან, „предрѣшилъ“. ამიერიდან აღარ შეიძლება ამგვარი თხოვნის გაგზავნა და მით ქართული ენაც განიდევნა კრებებიდან.

უარყო რა ბ. ზდანოვიჩმა კრებაზე ქართულ ენაზე ლაპარაკი, მიმართო თარგმნის შუამდგომლობას, მარა თარგმნაც არ გახადა სავალდებულოთ, არამედ თავმჯდომარის სურვილზე მიუშვა. „Когда это признаеть возможнымъ и необходимымъ предсѣдатель сѣзда“-ო, ასე რომ შეიძლება მწარმოებელთ ძალიანაც სურთ ქართულათ მოსმენა ან გადაცემა რამის, ამის ნება მათ არ აქვთ უთავმჯდომარეთ. და თუ თავმჯდომარე ნამდვილი ბიუროკრატია—მაშინ უნდა გამოეთხოვონ ქართულს. ხოლო 77 მთხოვნელს სახეში ქონდათ არა თავმჯდომარის თვითნებობა, არამედ კანონიერი უფლება თვითთელის მიერ გადათარგმნის მოთხოვნაზე. მარა ეს ნიშნავდა რუსულთან ერთათ ქართულის დაკანონებას, რაც ზევით უარყო ბ. ზდანოვიჩმა. „Обязательнымъ языкомъ въ такомъ собраніи долженъ быть, конечно, языкъ государственный, т. е. русскій“-ო, წინდაწინ განაცხადა მან.

ერთი სიტყვით ბ. ზდანოვიჩმა ისე გადაამახინჯა და შეასუსტა 77 მწარმოებლის თხოვნა, რომ ქართული ენა საშუდამოთ გამოიდევნა კრებებიდან.

რალა გასაკვირალია, ასეთ წაჯექ-უკუჯექობის შუამდგომლობას ასეთი შეუსაბამო პასუხი მიეღო: „Вслѣдствіе ходотайства совѣта сѣзда отъ 15 декабря 1900 г. за № 1171, о допущеніи обсужденія вопросовъ на засѣданіяхъ сѣзда, кромѣ русскаго, и на грузинскомъ языкѣ (ეს არ უთხოვია!) или, по крайнѣй мѣрѣ, допущеніи перевода основныхъ пунктовъ заявленія отдѣльныхъ

членовъ съѣзда, а равно представителей разныхъ учрежденій“ (არც ეს უთხოვია!) და სხ. და სხ.—ეს ვერ დაკმაყოფილდებოა. როგორც ხედავთ, მთავრობას ზღანოვიჩის თხოვნა ისე გაკვირვებია, რომ პასუხს იძლევა არა მის შუამდგომლობაზე, არამედ 77 მწარმოებელის თხოვნაზე. ზევით მოყვანილი სიტყვები ამათ თხოვნაშია და არა საბჭოს მიერ აღძრულ შუამდგომლობაში. პირიქით, საბჭო არღვევს იმათ თხოვნას და ახალს ადგენს. მთავრობა, რასაკვირელია, ვერ წარმოიდგენდა იმას, რომ ბ. ზღანოვიჩი თვითვე ეწინააღმდეგებოდა მწარმოებელთა სურვილს დედა ენის შესახებ და ამიტომ მას აწერს ისეთ შუამდგომლობას, რომლის წინააღმდეგ თითონ გაილაშქრა თხოვნაში.

ბ. ზღანოვიჩი თავს იმართლებს ვისიც წინაშე ჯერარს და ამბობს, არ იფიქროთ მე ქართულ ენაზე ლაპარაკს ვთხოვლობდე მწარმოებელთათვის, არა, მე ის კაცი არა ვარ, თქვენ რომ გგონიათ, მე უფრო ზომიერი ვარ. მიუხედავად ამისა ის მაინც, „სხვა კაცათ“ მიაჩნიათ.

აი ასეთი პირი გაუხდიათ სათაყვანებლათ „ცნ. ფურც.“ და „ივერიელებს“ და მათი ჯურის პატრიოტებს! ¹⁾

ახლა გადავიდეთ მეორე შუამდგომლობაზე. ავტორის მიზანია დაუმტკიცოს ფინანსთა მინისტრს ის, თუ როგორ ავიწროებს შავი ქვის მრეწველობას არსებული ტარიფი (ფურც. 7 კაპ.) და თხოვს მის შემცირებას. ამისაუვის კი საჭირო იყო ისეთი ცნობები მოეყვანა, რომელნიც ნათელყოფდნ ტარიფის გავლენას მრეწველობის დაცემა-აყვავებაზე. ნამდვილათ კი მთელი თხოვნა არღვევს ამ შეხედულებას და ბოლოს ირღვევა თითონაც. პირველათ ბ. ზღანოვიჩი იხსენიებს იმას, რომ შავი ქვის მსოფლიო ბაზარი გაცხოველდა, საქმე კარგათ წაგვივიდა და ამიტომ ეს შუამდგომლობა აქამდის არ გვესაჭიროებოდა. ამით რამოდენიმეთ ნათქვამია, რომ შავი ქვის გამოცოცხლების მიზეზი მსოფლიო ბაზარია და არა ტარიფი. ამას ამტკიცებს იქვე მოყვანილი ცნობები. მარგანცის ფასები 1898 წ. (ტარიფის 3 კაპეკით შემცირების წინ) იყო 9¹/₄—9¹/₂ პენსი, ხოლო ტარიფის მოკლების შემდეგ, 1899 წ. და განსაკუთრებით 1900 წ. 10—13 პენსი. აშკარაა ფასების აწევას და არა ტარიფის დაკლებას გამოუწვევია ეს გამოცოცხლება. ტარიფი ახლაც იგივეა, რაც მაშინ იყო მარა რა კი ფასები დაეცა, წარმოებაც შეფერხდა, და აი საბჭო ამიტომ ითხოვს ტარიფის კიდევ შემცირებას. მარა თხოვნა ირწმუნება, ტარიფის დაკლება ვერ გამოაცოცხლებს წარმოებას. და ასე საქმით თხოვნა ამტკიცებს, რომ წარმოებას აღვიძებს მსოფლიო ბაზარი, ხოლო ტარიფის დაკლებას კი თხოვლობს, როგორც ამ გამოღვიძების საშუალებას! ასეთია თხოვნის პირველი ნაბიჯი ლოლიკაში.

ამ 1901 წელს განაგრძობს თხოვნა, ფასები დაეცა, „упала ниже того уровня на которомъ она стояла въ концѣ 1898 года, и даже по этой низкой цѣнѣ руда наша не находитъ сбыта“. როგორც სჩანს, 1901 წ. ფასები 1898 წლის ფასებზე ნაკლები ყოფილა, და ასე გასინჯეთ, ამ მცირე ფასშიაც მუშტარს ვერ მოულოდებო. აქედან ცხადია, რომ შავი ქვა ახლა გაცილებით ნაკლები უნდა გადიოდეს საზღვარ გარეთ, ვინემ ეს 1898 წელს გადიოდა. ამასვე ამბობს ქვემოთ ავტორი: „указанная цѣна являет-

ся безусловно убыточной. По такой цѣнѣ кавказскій марганецъ... не можетъ вообще экспортироваться въ сколько нибудь значительныхъ количествахъ...“ სიტყვით ბ. ზღანოვიჩი ამტკიცებს: ფასები უნდა იყოს ნაკლები ამ ფასებში ვერ ყიდის, მუშტარი არ არის და საზღვარ-გარეთ გატანა ძლიერ მცირეაო. მართალია ეს? მივმართოთ იმავე საბჭოს სტატისტიკას: ამ წაგებულ ფასების დროს, ე. ი. 1901 წ., ფოთი-ბათომით გაუტანიათ 21,688,575 ფუთი ქვა, ხუთი მილიონი ფუთით მეტი ვინემ 1898 წ. გაიტანეს (მაშინ გავიდა 16,369.431 ფ.). ორში ერთი: ან მწარმოებლები გაგიყდნენ, რომ ამდენ ქვას ზარალით ყიდიან ან და მოგება აქვთ და მუშტარიც ყავთ. მარა რადგანაც ამდენი კაცის გაგიყება ძნელი წარმოსადგენია—ცხადია თხოვნის ავტორი ტყუილებს სწერს. ფასება რომ „убыточная“ იყოს, მაშინ მილიონობით კი არა და ათასობით არ გაყიდდნენ. „руда не находитъ сбыта“—გაიძახის ბ. ზღანოვიჩი. მაშ რა არის ეს გატანილი 21 მილიონზე მეტი, თუ არა СБЫТЪ-ი.

ბ. ზღანოვიჩს უნდა ეთქვა 1901 წ. ნაკლები ქვა გავიდა, ვინემ 1900 და 1899 წლებში, რაც გამოიწვია ზედმეტი დამუშავების კანონმა (перепроизводство), ამის მაგიერ კი ის ისეთ ყალბ ცნობებს იძლევა, ისე აზვიადებს, რომ მართალშიც კი ვეღარ დაუჯერებთ და განა შეიძლება სატარიფო კომიტეტი, სადაც ყოველნაირი სტატისტიკური ცნობებია მოგროვილი, მოატყუოს და ამით რამე გააკეთებოს?

ბ-ნ ზღანოვიჩის დასჭირებია დაამტკიცოს, რომ რუსეთის მარგანცი თანდათან იდევნება მსოფლიო ბაზრიდან სხვა მეტოქე სახელმწიფოებისაგან, რისთვისაც საჭიროა ტარიფის დაკლება, თვარა ძლიერ დავიზარებოთო. ამის დასასაბუთებლათ მოყავს ციფრები, საიდანაც ვტყობილობთ რომ 1892 წ. რუსეთის მიერ გატანილი შავი ქვა მსოფლიო ბაზარზე ყოფილა მთელი მოტანილი შავი-ქვის 5⁵/₁₀%, 1897 წ., ეს დაწეულია 39¹²/₁₀%-მდის, მხოლოდ ტარიფის დაკლების შემდეგ, 1899 წ., აწეულა 47³³/₁₀% გამოდის, რომ ტარიფმა ასწია ქვის გატანა (იხ. გვ. 116). ამაზე, პირველათ, უნდა შევნიშნო, რომ არა ტარიფმა ასწია გატანა, არამედ ბაზრის მოთხოვნილებამ და ფასების აწევამ, როგორც თხოვნის თავში გარკვეული. მეორეთ აქ მოყვანილი ციფრები ეწინააღმდეგება იმავე საბჭოს წიგნში—„Статистика Марганцового дѣла“ 1902 წ.—მოყვანილ ციფრებს. იმავე წლებში გატანილი ქვა რუსეთიდან მსოფლიო ბაზარზე აქ ნაჩვენებია შემდეგ პროცენტებით: 53³²/₁₀% (და არა 55⁰/₁₀%), 32²⁴/₁₀% (და არა 39⁰/₁₀%) და 44⁴³/₁₀% (და არა 47⁰/₁₀%) რომელია მართალი? რომელ სტატისტიკას უნდა ერწმუნოს მთავრობა? საზოგადოთ თხოვნის სტატისტიკა ერთიანათ ეწინააღმდეგება საბჭოს „შავი-ქვის საქმის სტატისტიკას“. თუ მივიღებთ სახეში ბ-ნი ზღანოვიჩის შეუჩერებლივ მიდრეკილებას ფაქტების გადამახინჯებისაკენ, გამოვა რომ თხოვნის სტატისტიკა ნაკლებათ სარწმუნოა, ვინემ თვით „სტატისტიკის“.

თხოვნის მე-113 გვერდზე სწერია: „по содержанию металло-бразильская руда, если не превосходить, то во всякомъ случаѣ, не ниже кавказской, но чѣмъ она неизмѣримо выше кавказской, такъ это малымъ содержаниемъ фосфора и кремнезема“ და სხ. ერთი სიტყვით ბრაზილიის რუდა ჩვენებურს სჯობნებია თავისი თვისებებით. ეს ასეა ამ გვერდზე, ხოლო მე-116 გვერდზე ვტყობილობთ, რომ ეს ტყუილია და ჩვენებური მადანი სჯობია ყველას. „Кавказскій марганецъ съ перваго же своего появлѣнія на международномъ рынкѣ занялъ первенствующее мѣсто, благодаря высокимъ природнымъ качествамъ руды и богатству залежей марганцевыхъ мѣсторожденій

¹⁾ წასულ კვირაში მწარმოებელთა კრებაზე ხელახლა აღძრეს კითხვა, მინისტრს ტელეგრაფით გამოვთხოვოთ ქართულათ ლაპარაკის ნებართვაო. ალბათ არ წაუკითხავთ „ნაგარიში“, თუ არა გაოგებდნენ, რომ ეს კითხვა ბ. ზღანოვიჩის მოწყალებით სამუდამოთ უკუღმართათ გადაწყდა. ეს კარგათ სცოდნია თავმჯდომარეს და ამიტომ არ დაანება ტელეგრაფის გაგზავნა.

ვთ შორაპანსკომ უზდნ. კუტ. გუბ. Это первенство сохраняется за нимъ и по сіе время“.

რატომ ასე სასტიკათ ეწინააღმდეგება ავტორი თავის თავს? იმიტომ რომ წინა გვერდზე სურდა დაემტკიცებია ბრაზილიის კონკურენტის საშიშროება ჩვენთვის, რისთვის აამაღლა იქაური ქვა და დაამდაბლა ჩვენი, ხოლო ბოლო გვერდზე სურდა ეთქვა, ჩვენი ქვა თანდათან იდევნება მსოფლიო ბაზრიდან და ეს არა იმიტომ, რომ მადანი უვარგისი იყოს, არა, მადანი ყველას სჯობია, მიზეზი ტარიფია! და ასე, მარცხენა ხელმა არა იცის, რასაც მოქმედებს მარჯვენა!

ერთი სიტყვით, ბ-ნ ზდანოვიჩის თხოვნები—თხოვნა კი არა, ერთი შეუსაბამო და ლოლიკური ნახტომებით სავსე კალმის ვარჯიშობაა. ის ძლიერ წააგავს ოზურგეთის ქალაქის თავათ ნამყოფის ბ-ნი ნ. თავდგირიძის კალმის ვარჯიშობას. გეხსომებათ რომ ბ-ნ თავდგირიძეს, როცა შეღავათების გამოტანა სურდა, მთავრობას ეხვეწებოდა, საწყალი ვართ, ქალაქს შემოსავალი არა აქვს, დაგვეხმარეთო. ხოლო როცა სხვის შესაწევრათ ფულს გადადებდა (პოლიტექნიკუმს გადაუწყვიტა 1000 მან.) და მთავრობა არ ამტკიცებდა, მაშინ კი სწერდა, ჩვენ საკმაო შემოსავალი გვაქვს, შეძლებულათ ვართ და შეგვიძლია სხვებსაც დავეხმაროთ!

ამნარი ქალაქების შედგენაშია ჩამბული ბ-ნი ზდანოვიჩიც ეს რამდენიმე წილიწადია და ქიათურელთა წყალობით იმედია ამავე ვარჯიშობაში დარჩება ბოლომდის...

გ. მ. რამლაძე.

სხვადასხვა ამბები.

ბაქოს გაზეთებმა „კასპიმ“, „ბაკ. იზვ“, და „ბაქო“-მ გადასწყვიტეს ორშაბათობით და უქმე დღეების შემდეგ აღარ გამოსცენ გაზეთები და ამრიგათ კერა-უქმე დღეებში აღარ მუშაობდენ ასოთ-ამწყობები, თანამშრომლები და ყველა ისინი, ვინც გაზეთის გამოცემაში მონაწილეობას ლებულობდენ.

შაბათს, 18 იანვარს, თბილისის მომრიგებელ მოსამართლესთან დანიშნული იყო განსახილველათ საქმე, თავ. გ. ნ. დიასამიძისა, რომელსაც ნაფიცი ვეკილის თანაშემწე ლ. ლ. ბახტაძე უჩივის დიასამიძემ მცემოა. მოსამართლემ სთხოვა მოპირდაპირებს შერიგდითო, რაზედაც ბ-ნმა ბახტაძემ უარი განაცხადა, ხოლო თ. დიასამიძემ თანხმობა. თავი და თავი მოწმეების დაუსწრებლობისა გამო საქმე პირველ თებერვლისთვის გადაიდო.

„ცნობ. ფურ.“-სთვის უთქვამთ, რომ გერმანიიდან ფულიანი კაცი ჩამოსულა, რომელსაც უნდა კავკასიაში ქარხანა გამართოს და შავი ბამბუკისაგან (ინდოეთის ლერწამი) ავეჯეულობა აკეთოს. ამისათვის განზრახვა აქვს ამ კაცს ჯერ ეს ლერწამი ბლომით მოაშენოს შავი-ზღვის პირათ. ამის შესახებ კიდევაც უთხოვია მიწათმოქმედების სამინისტროსათვის.

ვაზ. „ჩერნ. ვესტ“. სიტყვით გურიის სამეურნეო ამხანაგობის „შუაშავალის“ წესდება მიწათმოქმედების სამინისტროს უკვე დაუმტკიცებია წარსულ დეკემბერში. ამ ამხანაგობაში წევრათ შესვლა შეუძლია ყოველ მიწის პატრონს განურჩევლათ სქესისა: იჯარადარს, მამულის მმართველს, აგრეთვე მთელ საზოგადოებასა და დაწესებულებასაც, რომელიც გურიაში სასოფლომეურნეობას, ან მეაბრეშუმეობას მისდევს. საწევრო ფული ერთდროულათ თუმანია შესატანი და ერთი ორთუმინანი პაიც უნდა შეიძინოს. საქმეებს განაგებს საზოგადოების გამგეობა, რომელიც ოზურგეთში იქნება.

შაბათს, 18 იანვარს, თფილისის მეორე განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლემ გაარჩია საქმე არტისტ კ. მესხისა და ილია ზურაბიშვილის, რომელთაც პოლიცია უჩივდა თავად-აზნაურო თეატრში წარმოდგენის დროს შექმნილ დარღვევისა და უწყსოების ჩადენას. ზურაბიშვილის ვეკილმა რცხილაძემ მისი მინდობილობით ბოდიში მოიხადა და აღნიშნა, რომ თვით ზურაბიშვილი სწუხს, რომ იგი გამოიწვიეს და თავის უნებურათ უწყსოება ჩადენიეს. ამიტომ სთხოვა შეღავათიანათ მოეკიდეთო. მომრიგებელმა მოსამართლემ დამნაშავეთ იცნო ორივე ბრალდებული და გადაუწყვიტა კ. მესხს 25 მან., ხოლო ზურაბიშვილს 15 მან. დაჯარიმება. თუ ბრალდებულთ ჯარიმა ვერ გადაიხადეს, ბ-ნი მესხი 7 დღით იქნება დაპატიმრებული პოლიციაში, ხოლო ზურაბიშვილი—3 დღით სამხედრო ჰაუბტვახტში.

გუშინწინ, 24 იანვარს, დილის 5 ნახევარ საათზე, უეცრათ გარდაიცვალა პეტერბურგში უგანათლებულესი თავადი ნიკოლოზ დავითის ძე მინგრელსკი (დადიანი), სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის შვილი.

23 იანვარს, შუადღის 12 საათზე ბათუმში დიდი ცეცხლი გაჩნდა მანთაშევის ხე-ტყის საწყობში. აქედან ცეცხლი გადავიდა მისივე ნავთის ქარხანაზე. მეორე დღეს დილით ცეცხლი კიდევ იყო, ხე-ტყე და ქარხანაც მთლათ იწვებოდა. ზარალი დიდია.

კორესპონდენციები.

ქიზიუში. ქიზიუში დედოფლის წყაროს მასჯობლათ ამ ცოტა ხანში ორი სოფელი დაასრეს და საუკეთესო სხსავ-სათესი მამულეები მიუხამეს რუსეთიდან კადმოსხლებულს... კახეთზე მეტი ითქმის, რადგანაც საქართველოს ამ უმშენებელს კუთხეს უგულა ეტანება და ცდილობს ერთი საკენახე ადგილი მაინც იგდოს ხელთ... მაგრამ ამას თავი დავანებოთ და ისევ ქიზიულების ამბავი ვამცნოთ შკითხველებს: იმის შემდეგ, რაც მამულს დაუგა გადასახადი, ქიზიულებს დიდი ხარკი დაწავათ. წინათ თუ სამას და ოთხას თუმანს ახდიდა თვითველი სოფელი, ესლათათ თუმანობით იხდის. სოფელმა თავის მხრე ეს ხარკები ცხვრისა და ძროხის მატრონებს შეაწერეს, რადგანაც იგინი მეტათ სარგებლობენ თვალგაღწეულ სოფარ-სათიბებით. მაგრამ ზოგიერთებს ისე გაუხელდათ ამ ხარკების ძლევა, რომ ისევ ცხვარ-ძროხის მიყიდვ-მოყიდვა და სხვა საქმეების დაწყება აშჯობინეს. ზოგიერთი გლეხი დაცინვასაც არ მოკრიდა (მრიკტამ როგო უნდა ცაცხვროსო!) და თავისთვის მატარა ღუქანი გაიხსნა. სხვათა შორის ეს აჩის ერთი ამ მიზეზთაგანი, რომლის წყალობითაც ამ ბოლო ხანებში ძალიან გამავლდა ქართველი წვრილი მავაჭრეები. ქიზიუში წინეთ თუ სულ სამხეობა იყვენ ვაჭრებიცა და ხელისნებც, ესლათ ქართველები სჭაბობენ ერთშიაც და მეარეშიაც. ხალხის უმრავლესობა კი საერთათ ქანებრივათ უკან მიდის, დარბიდება, და გონებით წარმატებასაც არაფერი ეტყობა.

ან რა უნდა დაეტყოს, როდესაც სკოლების ამ რიცხვს, რაც ამ ოცდახუთი წლის წინეთ დაარსდა არაფერი მომატებია (ესლას-დედი სამრეულო სკოლები ახგარიში ჩასაგდები არ არის) და ისინიც ვაგლას დღეში იმყოფებიან მომატებულათ მასწავლებლების წყალობით: ემაწვილებს კერ წარმოუდგენიათ სსწავლებელი „უღი-ღიანკოთ“ ე. ი. უცქმა-ტყებოთ, ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ბავშვებიც სკოლაში სიარულს ძროხებში უფიხნას ამჯობინებენ.

სკოლების უძლეურების ბრალია, რომ შკითხაკები უწინდებურათ ბატონობენ მთელ ქიზიუში და აწიოკებენ ისედაც გადატაკე-

ცვას... შკოლის ტიპების შესახებ რესკრიპტი ამბობს: „რაც შეეხება შკოლის მოწყობას, მე მსურს, რომ ის იყოს სამი ხარისხისა. მდებარე: დასრულებული კურსით, საშუალო სხვადასხვა ტიპისა, აგრეთვე დასრულებული კურსით და საშუალო—უნივერსიტეტებისთვის მოსამზადებელი კურსებით“.

უნდა აღვნიშნო რომ ამით აღდგენილია საშუალო სასწავლებლების სხვადასხვა ტიპებით დაყოფა და შეიძლება ახლანდელი ორი ტიპის მაგიერ რამოდენიმე ტიპი მიუღიათ ასეთი სასწავლებლებისა.

სულ სხვა მდგომარეობაშია უმაღლესი სასწავლებლების რეფორმის საქმე: ვანოვსკის რეფორმა ვერ მოიპოვა თანაგრძობა უნივერსიტეტებში და თითქმის არც კი შემოღებულა. უნივერსიტეტები ძირითად ცვლილებებს თხოულობდა, ვინც ამას ვაძლევდა ანოვსკის რეფორმა. ყველა უნივერსიტეტებში, როცა მათ შეეკითხვნ რეფორმის შესახებ ის აზრი გამოხატვეს, რომ საქირაა მე 60-წლების რეფორმის შემოღებაო, ე. ი. უნივერსიტეტებისთვის დამოუკიდებლობის მინიჭებაო. ახალ სამინისტროს ჯერ კიდევ არ შეუმუშავებია რეფორმა უმაღლესი სასწავლებლებისა, და არ გამოუქვეყნებია... ამ ნაირათ რეფორმა სასწავლებლებისა კითხვაა მომავლისა.

რა კი უნივერსიტეტებს შეეხებთ უნდა აღვნიშნოთ, რომ საანგარიშო წელს რუსეთის უნივერსიტეტებში მოხდა სტუდენტთა არეულობა; განსაკუთრებით მოსკოვში არეულობამ მიიღო მწყვეტ ხასიათი... შედეგათ იყო 600-მდე სტუდენტების ციხეში დატუსაღება და ზოგის ციმბირის გუბერნიებში გადასახლება. მარა უმაღლესათ გამოცემული რესკრიპტით სტუდენტები განთავისუფლებულ იქნენ.

ა. ზ—ი.

ერთგული ღება.

(გაგაქვება.—იხ. „კვლევა“ 1902 წ. № 48).

ფედოროვკის კარტის მოთამაშეთა წრეს ერთი მიემატა, ეს იყო ჩვენი ნაცნობი ბეთალი ღებანოსოვი. ამის მოსვლის შემდეგ სულ ღებანოსოვთან დადიოდნ საზოგადო სახლში, სადაც მთელ ღამეებს ათენებდნ კარტის თამაშში, უშვერ ანეკდოტების წამოროშვაში და ოხუნჯობაში. ამ ფუქსავატ დროს გატარებაში მასწავლებელი კონოპლიოვი არავითარ მონაწილეობას არ იღებდა. იმ დროს, როდესაც ეს უანგარო მოღვაწე, განმსჭვალული წმინდა, უმწიკლო იდეალებით, დაჩაგრულ მოძმეთა სულიერ ამალღებაზე ზრუნავდა, მაშინ ფედოროვკის დამყაყებული ინტელიგენცია მხიარულ და უაზრო დროს გატარებაში იყო. თამაშობდნ კარტს და თანაც ითვრებოდნ, რასაც ხმა-მალალი ღაპარაკი და ღრიანცელი მოყვებოდა ხოლმე. ეს ხალხი, თავისი უპატიოსნო ქცევით უკანა ოთახში, საცოდავთ მოკრუნჩხულ ივანოვნას ოჯახობას მოსვენებას არ აძლევდა. ღამის ოთხ საათზე გადიოდნ ივანოვნას სახლიდან უკვე შებიჯბიჯებულნი პირუტყვილი განზრახვებით გულში.

ორი კვირა გასულიყო მას უკან, რაც ღებანოსოვი მოსულიყო ფედოროვკაში და ამ ხნის განმავლობაში ყველას გაეცნა, ყველასთან დაშინაურდა და იმათ რიცხვში ფოსტის მოხელის ცოლს მატრიონა ელისეევნასაც დაუახლოვდა. ისე დაუახლოვდა, ისე, ისე, რომ ჰმ... ხა-ხა-ხა... ან რა ღიღი საქმე იყო.

ერთ ღამეს, კარტის თამაშის დროს ქალებზე ჩამოავდეს ღაპარაკი; ტრახახობდნ, ვის როგორი ოინი ჩაედინათ ქალებთან, ვის რამდენი უღანაშაულო მსხვერპლი გაეთელა;

და ყველა ამას სრული კმაყოფილებით ამბობდნ და ზედ მხიარულ სიცილ-ხარხარსაც მიაცოლებდნ. ყველაზე უფრო ღებანოსოვი ტრახახობდა. იმ დროს, როცა ის ძლიერ შევიდა როლში, ფოსტის მოხელემ შეაჩერა და უთხრა: — ვიქტორ კარბიჩ! კარგია, გეყოფათ, მჯერა, რომ თქვენ ძლიერ გამოცდილი დონჟუანი ხართ. ბატონებო—მომართა ამხანაგებს,—იცით თქვენ, ვიქტორ კარბიჩმა რა მიუწლომელი საქმის მიწვდენა შესძლო!

— აბა, აბა—შემოსძახეს აქეთ-იქიდან ცნობის მოყვარეობით.

— აბა, აბა—შემოსძახეს აქეთ-იქიდან ცნობის მოყვარეობით.

ოო, ბატონებო! ეს ისეთი ძნელი და რთული საქმეა, რომ მეტის მეტათ გაცეხული თქმასაც ვერ ვახერხებ.

— აბა, აბა გვითხარი ღვთის გულისათვის და ყველამ თვალები დააქუცა.

— ამ ბატონმა ჩემი, ჩემი...

— კაცო, რა შენი, ვინ შენი?

— ამ ბატონმა ჩემი ცოლი შეაცდინა,—უცბათ მოუქრა ფოსტის მოხელემ და ერთი ისე უწნოთ დაიღრიჯა და ახითხითდა, რომ ღებანოსოვს ფერიც კი ეცვალა და ცოტა გააჭრეოლა კიდევ.

ესა სთქვა თუ არა, ყველამ სული განაბა და განცვიფრებულები ერთმანერთს შესცქეროდნ. აღელვებულმა ღებანოსოვმა სხაპახუპით მიაცარა ფოსტის მოხელეს.

Что вы, что вы, Антонъ Михайловичъ! ეს რა ხუმრობაა, მოწყალეო ხელმწიფე! მე თქვენს სახლში წმინდის გულით შემოვდიოდი და თქვენ კი ასეთ ცილსა მწამებთ. მე თქვენ პატიოსან კაცათ გთვლიდი, მე თქვენ... მე... მე, მოწყალეო ხელმწიფე, ამის შემდეგ ფებსაც არ დავდგამ თქვენსას—დაათავა თუ არა თავის თავის გამართლება მტყუნმა ბეთალმა, წამოვარდა გამხეცებული აკაბარდინი და ისეთი დაულრიალა ვიქტორ კარბიჩს, რომ ყველანი წამოცვიდნ ზეზე, ეცნ ხელში, რომელშიაც ღვინით სავსე ვერმულის ბოთლი ეჭირა.

მაშ თქვენის აზრით მე ვსტყუი? ცილსა მწამებთ, ყმაწვილო კაცო? თქვენა გგონიათ მე არაფერი ვიცი? მე რომ მინდოდეს, დაგაფრინდები თმაში და ბურთივით გადაგიძახებ აი ამ ფანჯარაშიო, და კიდევ ისეთი დაულრიალა, რომ ძალზე დამფრთხალმა ბეთალმა „ოი მატუშკო!“—შესძახა და კარებისაკენ გაიქცა.

ეშმაკმა წავიღოთ თქვენ ვიდაც საქონლის დობტურები ხართ! чортъ васъ подери! Завелись тутъ какіе-то скотскіе врачи, способные убивать и закапывать скотину да и только...

გათავა რა ტრალიკულათ მდგომმა აკაბარდინმა თვისი საბრალმდებლო რეჩი, ერთი კიდევ გადახედა კუთხეში სასაცილოთ გაშეშებულ ბეთალს, დავარდა სკამზე და ასტეხა ერთი სიცილ-ხარხარი, რომელიც მალე სხვებსაც მოედო.

ოი, ღმერთო ჩემო! რა მშიშარა ყოფილა ეს კაცი! ხა-ხა-ხა-ხა!

ანტონ მიხილოვიჩი! თქვენ მეტის-მეტი გადამლაშება გიყვართ ყველაფერში, ამ საქციელით თქვენ თავს იმცირებთო, ჩაერთა ღაპარაკში ნატალკინი. ჰმ! რა კაცი მისწორებს... ეხ, ჩემო ძმაო, ვისაც რა უნდა ის მითხრას, მხოლოთ შენ კი ჩუმით იყავ. შენსავით გაჩუმებას ჩემსავით პირდაპირობა ჯობია.

ანტონ მიხილიჩი! ენა გააჩერეთ პირში და კლიტეც დაადეთო, გამოეხმაურა ფოკინი. თქვენცა, მიხილ ფეიშოვიჩ? ხა-ხა-ხა! „ქურდს ქუდი ეწვისო“ რომ უთქვამთ, მართალია სწორეთ, ხა-ხა-ხა!



მე თქვენ გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფე... მე თქვენ გირჩევთ, დადგეთ თქვენს კალაპოტში, თორემ...

თორემ რა, მიხილ ეფიმოვიჩი? не пугайте Бога ради! გაჩუმდით! დაუყვირა მამასახლისმა.—თქვენს ჯინზე არ გაჩუმდები რე თუ გესიამოვნებათ, თუნდ ქუჩაში დავიყვირებ!

—თქვენ, ბ. ფოკინო, ამ საწყალი ნატალკინის ცოლს ყვარობთ. ფუი შენს ნაშუსს! მიაფურთხა ფოკინმა, წამოდგა, შარვლის ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და გაცხარებული ბოლთასა სცემდა.

ნატალკინიც წამოდგა, გაჩერდა ერთ ადგილას და მორცხვით თავს იქექდა. ჰმ... საოცარია მე და ჩემმა ღმერთმა, ვე ლაპარაკი სულ არ იყო აქ მოსატანიო—და კარებისაკენ გაეშურა.

ნუ გრცხვენიათ, ბატონებო, ნუ, ნუ უარობთ მიხილ ეფიმოვიჩი, არც მე გახლავარ თქვენზე წმინდა. Будеть, господи, откровенны другъ передъ другомъ, только это очиститъ наши грѣшныя души, только отъ этого намъ будетъ легче.—ესა სთქვა თუ არა, ისიც წამოდგა და ნახევარ საათში სულ დაცალიერდა თამბაქოს ბოლისაგან აყროლებული დუბანოსოვის ოთახი.

იმ დღიდან მართლა არ დადიოდა ბეითალი მატრიონა ელისევენასთან, თუმცა ეს უკანასკნელი დღეში სამ-ოთხს შიკრიკს უგზავნიდა, მოდი დუშკა, ვიქიდავოთო (ის საყვარლებს მუდამ საჭიდაოთ იწვევდა), მაგრამ ა-პა-პა-პა-პა! თქვენ არ მოუკვდეთ ჩემს თავს, ის იქ მისვლას ვეღარ ბედავდა. ერთი კვირა ხორციტ მარხულობაში გაატარა საცოდავმა და სულიერი ტანჯვაც ზედ მიაყოლა. ქალაქში გაწუწუებულ კაცისათვის ერთი კვირა უქალოთ ყოფნა განა სახუმრო საქმეა? დუბანოსოვი აქ საქონლის ჭირთან საბრძოლველათ კი არ მოსულიყო, არამედ სოფლის ქალები უნდა ეგვმა.

როცა საგუბერნიო ქ. N-დან ფედოროვკაში მოდიდა, ამხანაგებს ასე ეუბნებოდა: Ъду, братцы, въ Федоровку для производства тщательной регистрациі деревенскихъ бабъ.

როგორც იქნა ამ ვაი-ვაგლახში ათი დღე გაატარა. მე-თერთმეტე დღიდან კი ძლიერი არეულობა დაეტყო; სულ მიიბჟუტა, გაიცრიცა, ნერვები საშინლათ მოეშალა და ამ ნერვებ მოშლილობის შედეგები კირილკა ასისთავზე ყრილობდენ ჯავია. ეშმაკმა წაიღოს ამ შეჩვენებული პოჩტმესტერის სული და ხორცი, проклятый чортъ, окаянный! წავიდე და უკანა კარებიდან შევიპარო... როგორ შევიპარო, ერთიკ ვნახოთ შემობრაგუნდა ის მხეცი; ერთიკ ვნახოთ გაიღვიძა მასში მიძინებულმა ოტელომ, მტაცა ხელი და მართლა ფანჯარაში გადამიძახა. არა, არა! მორჩომილი საქმეა! უნდა სხვაგან გავარიგო; განა ღირს კი ამ ჩაყაყი დედაკაცის გულისთენ ამდენი თავის მტკრევა? ასეთმა ქალებმა ქალაქშიაც მომაძღვლეს თავი. არა, მთელი პოეზია, მთელი მშვენიერება გულუბრყვილო გლეხის დედაკაცშია. ჰმმ!—ო, —ამოვიმინა და დაუძახა ასისთავს:

- კირილკა! კირილკა!
- რას მიბრძანებ, ბატონო, შემოიჭრა ასისთავი.
- კირილკა, მოიწი ჩემკენ ახლო.
- ასისთავი მართლაც მიუახლოვდა, და ბრიყვულად შეაშტერდა თვლებში.
- კირილკა, შენ ჯამაგირი რა გაქვს?
- არაფერი, ბატონო, სრულიათ!
- როგორ თუ არაფერი?
- ისე... სამი წელიწადი ვალდებული ვარ უჯამაგიროთ ვეშახურო სოფელს.
- რას ამბობ, კირილკა?

— მართლს მოგახსენებ, ბატონო.
— ნუ გეშინია, რადგანაც ასეა, მე გინიშნავ თქვენი სამ მანეთს და თუ იმას პირნათლათ შემისრულდება, საჩუქარსაც კარგს მიიღებ.

კირილკა ჯერ განცვიფრდა და მერე სიხარულისაგან ცრემლებიც კი მოაღდა თვლებზე, მივარდა, ხელზე კოცნა დაუპირა, მაგრამ ბატონმა არ დაანება. Это еще какія новости! არა, ძმაო, მე მაგას არ ვიკადრებ.

კირილკა იმიტომ გაახარა, სამმანეთიანმა ჯამაგირმა, რომ ძლიერ ლატაკი კაცი იყო. რაც შეეხება უფროსის წინ დაჩქებას, ხელებზე და ფეხებზე კოცნას, ეს აქ რალაც დაკანონებული იყო.

— კირილკა, იცი, რა უნდა დაგავალო?
— არა, ბატონო, აბა მე რა მეცოდინება!
ბეითალი მიუახლოვდა და ყურში წასჩურჩულა: შენ დედაკაცი უნდა მომგვარო ყოველ ღამე აქ.
კირილკა ჯერ გაშეშდა, მერე პირზე ღიმილი მოუვიდა და დაფანტვით უთხრა: оно точно такъ, но... და თავს დაუწყო ქექვა.

— ჰჰ? სთქვი, რამ დაგაფიქრა? ნუთუ ისე ძნელია?
— ძნელი არაა, მაგრამ არც ისე ადვილია, მომკლავენ გლეხები, თუ გ-მიგეს.
— ეეჰ! მოგკლავენკი არა, გადაგკლავენ. არა, შენ ფული გეცოტავა ალბათ; გამხნევი, თავი მაღლა აიღე, ხუთ მანეთს გინიშნავ თვიურათ და ეხლა კი აი შენი საჩუქარი! და სამი ვერცხლის მანეთიანი ჩაუღო ჯიბეში.

ასის თავი ამ გარემოებამ უცბათ მოაღბო, თავი შეაქან-შემოაქანა რალაც მედგრათ. თითქოს ომში ებირება წასვლასო, მიუახლოვდა ბეითალს და ყურში წასჩურჩულა: კარგი, ბატონო, რაც გახდება—გახდეს, მოვიყვან მიკოლა იაშჩენკოს ცოლს, ქმარი სალდათათაა რიახანში და ცოლი კი აქ ძლიერ გაჭირვებულია.

— აი ყოჩაღ, კირილკა, ყოჩაღ! შენ ის მითხარი, დედაკაცი ვარგა?
— Она баба бравая.
გახარებულმა ბეითალმა გაცხარებით ხელებს სრესა დაუწყო.

კირილკა ვავიდა მეორე ოთახში, საცა ივანოვნა ასულიყო ფეხზე და ნიკანორის წინდებს ქსოვდა.

ასისთავი, როცა ბატონისათვის საჭირო არ იყო, მუდამ ივანოვნას ოთახში იყო. მოისხამდა თავისს ძველ ქურქს, წამოწვებოდა ფეხზე და ტკბილათ ეღუღუნებოდა ბებერ დიასახლისს, ან და თვალს მოატყუებდა, ხან წვრილმან საქმეებში ეხმარებოდა, მაგ., შეშას დაუხერხავდა, წყალს მოუტანდა და სხვ. მისი დახმარება დიასახლისისათვის მით უმეტეს იყო საჭირო, რომ რძალი დუნიაშა მშობლებთან წასულიყო ავამყოფ დედის მოსაველეათ, ნიკანორიც ჩვეულებრივათ მინდვრათ იყო წასული. და თუ ხანდახან შუალამისას სოფელში ჩამოვიდოდა, პირდაპირ სიმამრისკენ გასწევდა, სადაც ცოლი ეგულებოდა; ღამეს გაათევდა და მამლის ყივილისას ისევ სამუშაოსკენ გასწევდა.

- რისთვის გეძახდა შენი ბატონი?—
- ჰკითხა ივანოვნამ.
- ხი-ხი-ბი!—ჩაიხითხითა უშნოთ კირილკამ.
- რა გაცინებს?
- როგორ არ ვაეცინო, როცა ისეთი სასაცილო საქმე მომანდო ბატონმა!
- მოხუცმა თავი მაღლა ასწია და ცნობის მოყვარებით შეაქქერდა მობაასესა.
- რა იყო, რა დაგავალო ისეთი?



— ქალი მომგვარე ყოველ ღამეო — მიუგო კირილკამ.
 — რაო, რაო? ქალი მომგვარეო!..
 ესა თქვა, თუ არა. თოფ-ნაკრავივით წამოვარდა, გად-
 მოხტა ფეხიდან და ვაჟკაცურათ გამოეჭიმა ასისთავს.
 — კირილკა, შენ ამას ვერ გაბედავ!
 — ვინ დამიშლის ვითომ?
 — ვინა და მე, — მტკიცეთ მიუგო დიასახლისმა. ეს სახ-
 ლი ჩემია, შე ბრიყვო, გესმის თუ არა? ისევე ღმერთი შენ
 ავაშენებს, რაც ნიკანორის ოჯახში როსკიპი დედაკაცები
 არ შემოგაყვანიო.

კირილკაც გაჯავრდა და ასე მიაძახა: ნუ გაცოფდი, ბე-
 ბერო, ნუ, ვინ მოგცა შენ ეს სახლი. დღეს, თუ ხვალ ღრიც-
 კოს ხელში გადავა. შენ, მგონი, არ იცი, დღეს სასამართლო-
 ში რას ამბობდენ.

ამ უსამართლო სიტყვებმა ივანოვმა მართლა გააცოფა,
 დაავლო ხელი მაშას და ერთი ისეთი მოცხობა კირილკას გვერ-
 დებში, რომ ეს უკანასკნელი ძალზე შეშინებული ეგვიდრებო-
 და: კარგი, კარგი, ბებერო, მაპატიე, გეხუმრებოდიო.

ივანოვამ აღარ დაუტადა პასუხს, გააღო შუა კარები
 და ტახტზე წამოკოტრიალებულ დუბანოსოვთან შეიჭრა და
 ცრემლ-მორეული ემუდარებოდა: მაგ საქმეს ნუ ჩაღიხარ,
 შეიბრაღე ჩემი ოჯახი, ჩემი შვილი, ნუ მოგვჭრი თავს, თო-
 რემ ჩემს ნაამადარ ოჯახში პატიოსან კაცს აღარ შემოგვ-
 ლება.

გულანჩვილებული და დარცხვენილი დუბანოსოვი წამო-
 იჭრა ტახტიდან, მივარდა ივანოვას და დაუწყო მშვიდება:
 ჩემო კეთილო ივანოვანო, რა გატირებს? მე არ მეგონა, თუ
 ასე გეწყინებოდა, თორემ... კარგი, დამშვიდდი, დეე, რო-
 გორც თქვენ გინდათ ისე იყვეს.

ივანოვამ მადლობა გადაუხადა და გავიდა თავის ოთახ-
 ში.

— ბატონი მდგმური ამ გარემოებამ ძლიერ გააბრაზა,
 მართალია, პატიოსანი მოხუცის წინაშე თავი მოიმდაბლა,
 ღმობიერება გამოიჩინა, მაგრამ ეს იყო გამოწვეული არა
 სირცხვილით, არა სინიღისის ქენჯნით, არამედ შიშით, ში-
 შით.

— ეშმაკმა წაიღოს ამ ბებრის სული და ხორცი. ღმერ-
 თო ჩემო! ქალაქში წასვლამდე, აქ, ამ გამოყრუებულ უდაბ-
 ნოში უდედაკაცოთ როგორ დავდგე? — ჯავრობდა გულში
 ბეითალი და ასე გაჯავრებულმა დაუქექა ასისთავს:

— დესიატსკი!
 პასუხი არავინ გასცა.

— სოტსკი! დაიღრილა მოთმინებიდან გამოსულმა.
 — ამ საათში, ბატონო, გამოეხმაურა ეზოდან კირილკა
 და შემკრთალი შემობრაგუნდა ოთახში.

— შე ვირო, შე პირუტყვო, პირუტყვო! რა გრჯიდა
 ამ გამოყრუებულ დედაკაცთან წამოგეროშა ყველა ის, რაც
 მე საიღუმლოთ გითხარი!

— მე არ მეგონა, ბატონო! მე ისე... რომ...
 — აახ! ხმა გაიკმიდე, შე მხეცო, შე საცოდავო! გრცხვე-
 ნოდეს, რომ არაფრის შნო და ლაზათი არა გაქვს, შე საწ-
 ყალო შენა. მოიტა ჩემი ფულები და დღესვე აქედან დამე-
 კარგე.

კირილკამ იმ წუთასვე ამოალაგა ჯიბიდან ფულები და
 მიაწოდა.

— კარგი, წაიღე, ისევ შენვე გქონდეს. გაეთრიე აქედან
 და არავისთან არაფერი მიჭპარო ამ საქმის შესახებ.

და კირილკა მწარედ დაღონებული და დარცხვენილი
 გავიდა მეორე ოთახში, დაეგდო ფეხთან, ამოიღო თავისი გა-
 ხუნებული ჩიბუხი, გატენა მახორკით და გააბოლა; და ამ

გაბოლებას ისეთი გმინვა ამოაყოლა, რომ კუთხეში მწარეთ
 ჩაფიქრებულ ივანოვას ყურადღებაც კი მიიქცია.

ტრ. რედაქციის
 (დასასრული იქნება) გიგლიოთიკა

ყველაფერი ისე... სიციცხლეც, სიკვდილიც...

[ვ. ვასალიევისა].

შემოდგომაა. წვიმს... სახლებში ჯერ ცეცხლს არ ან-
 თებენ. შე მცივა... მოვეკუნტულვარ და ფანჯარასთან ვზი-
 ვარ. ამ დროს, რომ ვინმემ მკითხოს: როგორა ხარ? მე მხო-
 ლოთ ეს შემიძლია ვუპასუხო: ისე...

როგორ თუ ისე? ალბათ მოწყენილი ხარ, წარსულს
 იგონებ, სწუხარ...

არა, ისე...

რა არის ეგ ისე?

არ ვიცი... ისე... მთელი ჩემი სიცოცხლე ისე... წარ-
 სული, აწმყო, ოცნება, იმედები, სურვილები სულ ისე... და
 თითონ მეც როგორღაც ისე... საითკენაც უნდა მივიხედო.
 ყველგან რაღაც ისე...

საშინელება!

შესაძლებელია.

მაშ ძალიან გაუმწარებიხარ სიცოცხლეს?!

არ ვიცი ისე... ყოველთვის და ყველგან ან ასეა და ან
 ისე... ბავშვი ვიყავ და აღერსი არ მღირსებია, სიყრმე გა-
 ვატარე უსიხარულოთ, სივაჟაკე უსიყვარულოთ, მოგზუცდი
 და დავკარგე რწმენა ჩემი თავისა... და ყველაფრისა... უვარ-
 გისობა, სრული მარტობა, სიბერე, გაჭირვება!..

განა მარტო ეგ არის?! ნუ თუ არაფერია ისეთი, რი-
 თვისაც ღირს ამ ქვეყნათ სიცოცხლე?!

სიკეთე, პროგრესი, კაცობრიობა, უკვდავი იდეალები,
 ნაყოფიერი შრომა, მეცნიერება!..

მეცნიერება?!. არ მესმის, გაუგებარია ეგ ჩემთვის...
 რაღაც ღიადი რამ... რაღაცას გპირდება, მაგრამ რას?!.

ხელოვნება?

ხელოვნება?! ეჭვ! რა გამოუთქმელი სილამაზით, გასაო-
 ცარი ჰარმონიით ხედებოდა ეს სიტყვა ჩემ გულს, რო-
 გორი წარმტაცი ძალით მიწვევდა ის თავისკენ... მე მივიწვე-
 დი... ის მშორდებოდა, იკარგებოდა... გამოუთქმელი ენერ-
 გიით მივიღტვოდი მისკენ, მაგრამ ამაოთ... შორიდან ვხე-
 დავდი ჩემნაირ პატარა, უმნიშვნელო არსებათ... ისინი იდ-
 გენ მედიდურათ, ბრწყინავდენ... მე იმ დროს ცნობის მაყ-
 ვარეობა მეღვიძებოდა: მინდოდა ახლოს დამენახა, გამერჩია,
 გამეცნო ბედნიერნი... შორიდან თავყანსა ვცემდი, ვაღწერ-
 თებდი მათ... მაგრამ რაც უფრო ვუახლოვდებოდი მათ, მით
 უფრო კრთებოდენ, რაღაც საზიზღარ სახეს იღებდენ... პა-
 ტარა, უმნიშვნელო ჭია-ღუაზედაც კი მცირენი... საზიზღრე-
 ბი იყვენ... ღმერთო, ღმერთო, ვფიქრობდი მაშინ: რა თვალ-
 წარმტაცი, რა მშვენიერი რამ არის ეს ღიადი ბუნება და რა
 საზიზღარია ადამიანი — ეს ბუნების, ვითომ და, გვირგვინი!..
 ეგება მხედველობა მატყუებს?!

რათ მინდა ამისთანა მხედველობა!!

ვჩერდები... გული საშინლათ მიცემს, თვალები ცრემ-
 ლებით მევესება... ტირილი მახჩობს... ამ დროს რაღაც
 იღუმალი ხმა ჩამწურჩულებს ყურში: ყველა ხარობს... ყვე-
 ლას რაიმე მიზანი მაინცა აქვს სიცოცხლისა... შენ... შენ კი
 ხარ ისე...

გული ამომიჯდა... ვტირი...

საშინელი, შეუბრალებელი სიტყვები!.. არ მაყენებენ...

21

ღმუის ქარი და ამ ღმუილში ისმის საზარელი სტვენა: ისსს-ვეეე!..

მივრბივარ... ვიმაღები... კუთხეში ვიკრუნჩხები, ვცახ-ცახებ... ღმერთო ჩემო, ეს რა მესმის!?. კედლის საათი!.. ესეც... ესეც კი დამცინის: ისე-ასე, ისე-ასე. ისე-ასე.

ჰო, ჰო... ათრთოლებული ვიმეორებ მეც: ყველაფერი ისე!.. სიცოცხლეც... სიკვდილიც!..

კ. ჯ-ძე

უსათაურო ზენიზვანა უსიტავო გაჯეთს.

„ცნ. ფურცელი არა სცხრება.—მისი რედაქცია, ანუ, სწორე რომ ვთქვათ, რედაქცია სიტყვას მოკლებული (ვინა-იდან სიტყვა სამშაბათის ფელეტონში განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში ის არ აპყვება რედაქციას) მოყვა გმინვას და კარიკატურას კარიკატურაზე აცხობს, რომ ყოფილ ლიტერატორს ბ.ზდანოვიჩს თავმჯდომარის სავარძელი შეანარჩუნოს. მარა რადგან თვითონ სიტყვა დაკარგვია, ხოლო ლაპარაკი მაინც საჭიროა, ვეჭიღობა „გარეშესთვის“ მიუცია, და ეს ყოველ ლოლიკის გარეშე მყოფი, ავტორი მეთაურ წერილებისა, ათასნაირ ბრალსა სდებს კვალელებს, რომელნიც... ოხ, საკვირველებავ! თვითმართველობის დამხობასაც კი იმუქრებიან თურმე... (იხ. „ცნ. ფურც.“ 21 იან.)... მერე სად, როდის?..

— მაშ რატომ ბ. მარკოვსკის ყელში არ წვდენ, როცა მან „კრიტიკის“ გარეშე გამოაცხადა თავის თავიო, ასაბუთებს „გარეშე.“ ღმერთო ჩემო, რა ლოლიკაა!.. ამ ლოლიკით მე და შენც, მკითხველო, ეს ლოლიკის „გარეშე“ მდგომი, ქურდ-ავაზაკებათაც ჩავფთვლის, რატომ „გოროდოვებთ“ არა ხართ, ქურდებსა და ავაზაკებს არ იჭერთო. კიდევ კარგი, რომ ჩვენ პრისტავებს ასეთი ლოლიკა ჯერ არ შეუთვისებიათ, თორემ, შენი მტერია, ყველანი, მგონი „გარეშეც“, ციხის კედლებში ამოყყოფდით თავს.

იგივე ავტორი კვალელებს ბურჟუათა მომხრეობას სწამებს... ოხ, მცხსიერებავე, რა კარგი საქონელი ხარ! ნეტავ „გარეშე-საც“ ჰქონოდა ერთი ბეწო! მაშინ ხომ გაიხსენებდა, რომ ზდანოვიჩი, ოდესღაც ქანდარის, ე. ი. მდაბია ხალხის მოტრფილვე, მასთან კავშირის მაძიებელი, დღეს იმით ამაყობს, რომ მას პარტერი, ე. ი. ჯიბესქელი ბურჟუაზია უკრავს ტაშს, მის მოწინააღმდეგეებს კი ქანდარა, რომელსაც არც კი გაეგება, ვის და რას უწონებს. ამას საკუთარი ბაგითა ბრძანებს დიდებული ყადი. ამასვე იმეორებს მისი ფხთა მტვერი „ცნობის ფურცელი“, რომელმაც ფხშიშველი და ჩონხა-დავლეჯილი ხალხი ბ. ზდანოვიჩის მოწინააღმდეგე ბრბოთ დავიხატა ნეტარსენებულ დამატების კარიკატურაში (იხ. დამ. № 83). „ცნ. ფურცლ.“ მეცნიერს ქათურის მომავალ ლაბორატორიაში გამოუკვლევია, რომ ჰკუთავონება, თავის ქალაში კი არ არის მოთავსებული, არამედ ცილინდრსა და გაკრიანებულ ფეხსაცმელებში. იყიდეთ ცილინდრი, პოლსაპოშკები, გამდიდრდით— შეიქნებით ჰკვიანი, გონიერი. ესეები არ მოგეძევათ—მაშ არც ჰკუთავ გექნებათ... აი, „ცნობის ფურცლის“ ფილოსოფია! აფსუს, „ნაციონალ-დემოკრატიზაცი“.

წარსულ კვირას კიდევ ხალხის ინტერესების დამცველები, რომელთა მწვავე შენიშვნები გულზე კბენენ, სინიდისის ნატამალს უშფოთებენ ყოფილ ლიტერატორს და დღეს ღიპიანთა და მსხვილ მუცლიანთა მებაირალტრეს ბ. ზდანოვიჩსა და მის მფარველ ცეიტლინს, „ცნ. ფურც.“ დაავადმყოფებულმა ფანტაზიამ დავიხატა. . ძაღლების სახით... არც გასაკვირველია, რომ უსიტყვოთ დარჩენილ გაზეთს ყველგან პირუტყვები ეჩვენებოდეს.

წინეთ კალმის სიტყვით ამბობდა: ხალხი—აი ნაციონალ-დემოკრატიზაცი ინტერესები—აი ნაციის ინტერესები, კაცობრიობა—აი იდეალიო... ცხადია ეს სიტყვები სარეკლამოთ გამოქონდა თავის ფურცლებზე, ახლა კი... დახეთ, რა ძალი უღალატა „კომერსანტულ პატიოსნებასაც“ კა.


ამიტომ ვკითხავთ ბ. ზდანოვიჩის ვეჭიღს: სადღა არს გაზეთო, „ნაციონალ-დემოკრატიზაცი“ შენი, სადღა არს ქეშმარიტება, კაცობრიობის იდეალები შენი?... ისინი, ვითარცა ცვილი წინაშე ცეცხლისა, ესე განქრენ წინაშე სავარძლისა საბჭოს თავმჯდომარისასა, რათა წამოასკუბონ მასზე და გმირთა გმირი იგი, ბ. ზდანოვიჩი, რომელ არს ქებულ და დიდებულ მოღვაწეობასა შინა თვისსა, მიუწოთმელ და მიუხთომელ მეტამორფოზათა შინა თვისთა, აწ და მარადის ღდასასრულამდე „ცნ. ფურც.“ დემოკრატიზებისა!..

არიოსი,

ჩემი შთაბეჭდილებანი

(ქათურის შავი-ქვის მწარმოებელთა მე-V-ე კრების გამო).

ქუთაისის თეატრის ქანდარაზე ვიდექ, დავყურებდი ძირს მღელვარე კრებას, მის წინაშე მომქვედრებულ ყველგან საბჭოს თავმჯდომარეს და უნებურათ დარბაზიდან ფიქრმა წარსულისაკენ წარმიტაცა: მაგონდება ის დრო, როცა გაფაციცებით დავეძებდი მაიაშვილის ნაწერებს, სულგანაბული ვისმენდი მის თავგადასავალს და, როცა პირველათ ახლათ დაბრუნებული გიორგი შორი-ახლო მოლაპარაკე დავინახე, რაღაც არა ჩვეულებრივი სიამოვნება ვიგრძენ. აქ, სადაც ქალაჩუნობისა და სიფლიდის მეტს ვერას ვხვდებოდი, ადამიანური ამპარტავნობა და მხნეობა მიჩლუნგებულიყო, წარმტაცი იდეები მიმქრალიყვენ და თავდადებულ საქმიანობას, გულწრფელ სიყვარულს მხოლოდღა წიგნებში ვპოულობდი, ვიხილვე ადამიანი, რომელიც ეს არის ბრძოლის ველიდან დაბრუნებულა, სიმართლისათვის პატიოსნათ მღელვარებდა, მოძმეს ამხნევებდა და თავგამეტებით სახიფათო ბილიკზე შეუფერხებლათ მი-აბიჯებდა. ენერგიული სახე, მოუდრეკელი ქედი, გაბედული აზრი, ყველაფერი თავში ამერია, ვიდექ და ვუმზერდი. ვუმზერდი სიამოვნებით ვუმზერდი დიდხანს და ყოველი წამი ჩემთვის გამამხნევებელი, გამაძლიერებელი რამ იყო. გონება მოვიკრიბე, აზრი სინამდვილისაკენ მივაპყარ და სიმწარით ვიგრძენ, რომ ყველაფერი ეს წარსულიყო! ისევ „ჩვენებური, ძველებური“ არაარობა და შიგ მომწყდელი „განახლებული“ გიორგი თვალწინ მიდგა ღ ამ წამში სიამოვნების ნაცვლათ ზიზღი და გმობა განვიცადე, დაკარგულ წარსულს მხოლოდ ოცნებითა ვებლაუქებოდი, აწმყო კი გულს მიღრღნიდა, მაწუხებდა. სადღაა ის მღელვარება, რომელიც „გალიორკაზე“ დავძებდა თავისს ერთგულ მეგობარს, სადღაა ის სიმარტივე, რომელიც რთულ საზოგადოებრივ საქმეს წინ მიუძღოდა სადღაა სიმართლისათვის თავდავიწყება, რომელიც საზოგადოების დაჩაგრულ ნაწილს გულში იმედს უღვივებდა და საიმედო ლამპრათ უნათებდა? დღევანდელი მისი მღელვარება „გალიორკას“ ზიზღით შესცქერის, დაბანდული აზროვნება საზოგადო საქმეს აჩლუნგებს, სიმართლე მასში წინააღმდეგობას იწვევს ღ სინათლის ჩასაქრობათ რაინდების დაჟანგული ხმალი მოუმარჯვნია! დარბაზში სამნაირი ელემენტი მოძრაობს: დღევანდელი საბჭოს მოწინააღმდეგეთა უმრავლესი ნაწილი, რომელსაც პირადი მწარმოებელთა ინტერესები სიმართლეს აღაპარაკებს, უმცირესი რაოდენობა, რომელიც საბჭოს უმოქმედობას, თავგასულ საქციელს საზოგადო მოსაზრებით შებრძოლებია



და საბჭოს თავმჯდომარის ერთგული ყმანი, შეიარაღებული რაინდები, რომელთაც ჩვენი ინტელიგენციის სასახელო წევრები მეთაურობდნენ. ჩინებული სურათია! ის ინტელიგენცია, რომელიც ათი წელიწადი ვითომდა რაინდული ბრძოლის მოსასპობათ გონიერ ბრძოლას ეწეოდა, ერთის პირის დამარცხებასთან ერთად ვითომდა ამარცხებდა ხანჯლებით დაცულ უსამართლობას და კენჭებით დამარცხებას ზნეობრივ გამარჯვებას უწოდებდა და მით კმაყოფილი იყო, დღეს ის ინტელიგენცია იმავე ხანჯლებს ამოფარებია და კენჭების უმრავლესობა მათ ზნეობრივ სიმამაცეს მატებს და თავის გამარჯვება მხოლოდღა ამაზე დაუშვარებიათ. საბჭოს თავმჯდომარე ზდანოვიჩი კი ამ საიმედო ძალით გარემოცული, და პატარა თავმჯდომარის ხელის შეწყობით თელავს ყველას პიროვნებას, ვინც მის წინააღმდეგობას ბედავს, უკბილო ოხუნჯობით ფარავს და აფუჩჩებს ნამდვილ კრიტიკას და, თუ ამ ოხუნჯობითაც შეუძლებელი შეიქნა სიმართლის გადაძალვა, ერთგული ჯარის მუქარით და გრიალით მაინც თავისს მიზანს აღწევს. ზდანოვიჩი ლაპარაკობს, მას უსმენენ, ტაშს უკვრენ, ვაშათი აჯილდოვებენ, მხოლოდ მოწინააღმდეგეთათვის ყოველთვის მზათ აქვთ შეკვეთილი სიტყვა: Молчать, не хотим слушать, ничего нового не скажете და სხვა. მხოლოდ ამით აიხსნება ის საოცარი საქციელი, რომ სარევიზიო კომისიის დასაბუთებული და გაბედული ანგარიში, რომელიც საბჭოს თავმჯდომარემ ვითომდა მთლიან დაარღვია, თუმცა თვითონვე აღიარა ბრალდების თვითოეული პუნქტის სიმართლე (რასაკვირველია თავისებური გადაკვრით და გადაფუჩჩებით) უარყვეს და სარევიზიო კომისიას საყვედური განუცხადეს. ბ. ზდანოვიჩმა სცნო აღნიშნული შეცდომები ბუხვალტერისა, მხოლოდ ყველაფერი ეს უმნიშვნელოაო, მანვე დაამოწმა, რომ საბჭოს „შავი ქვის“ ამხანაგობისათვის, რომლის თავმჯდომარეთ თვით ბ. ზდანოვიჩია, 5000 მანეთი უსესხებია, მხოლოდ განაცხადა: ეს მიტომ ვქენი, რომ „შავი ქვის“ წევრები ღარიბი ხალხია და ჩვენი ზნეობრივი მოვალეობა იყო მათთვის ხელი გაგვწვდინაო; აღიარა, რომ საბჭოს თავის თავისათვის ჯამაგირი მოუმატებია, მხოლოდ ამტკიცებდა, რომ თქვენ მიერ დანიშნული ფული, ბატონებო, არ გვეყოფნიდაო; ვერ უარყო, რომ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესათვის მიუციათ ჯამაგირი მაშინაც კი, როცა ის თავისს მოვალეობას არ ასრულებდა, მხოლოდ თქვა, ამის შესახებ შესაძლებელია „разно-рѣчивое толкованіе“-ო; მკაფიოდ დაამოწმა, რომ საავთმყოფო მართლაც იმ მდგომარეობაშია, როგორც მოგვითხრობენ, მხოლოდ რას იზამ, როცა მეტი შეძლება არ გავვაჩნიაო, თუმცა ამ სტატიით 15 ათასი ეკონომია გაუყვებია საბჭოს. ბ. ექიმმა შეფიცა კრებას 293-ში 169 დღე არ გამომიტოვებია და ეს მოგონებააო, მხოლოდ სარევიზიო კომისიის წევრმა ამ ფიცში იქვი შეიტანა, რადგან საზოგადოებას ცოცხალ ფაქტზე მიუთითა: აი, ბატონებო, საბუთი: ორი კვირა, რაც კრებები გრძელდება და ბ. ექიმი ჩვენს კამათს ამ ხნის განმავლობაში განუშორებლათ უყურებს, მაშინ როცა საავთმყოფოში ექიმი არ არის და ორი ავთმყოფი უკვე უექიმობის გამო გადაიკალაო.

ერთი სიტყვით სარევიზიო კომისიის ანგარიში დამტკიცდა, მხოლოდ კრებამ ხმის უმეტესობით იგი უარყო და ამ სამსახურისათვის (რადგან ეს ზდანოვიჩს არ ესია მოგნა) მას საყვედური გამოუცხადა. რისთვის, მკითხველო, რისთვის? ამ საგნის შესახებ მეტი არავის აღაპარაკეს და ჩვენი ბრწყინვალე ინტელიგენცია მისი ამალით, საჭაროთ, ულაპარაკოთ, განუსჯელათ თხოულობდა: საყვედური რევიზიას, არ გვინდა მსჯელობაო.

საბჭოს ანგარიშის შესახებ ძლივსლა მოასწრო სიტყვის თქმა ოპოზიციის ერთმა წევრმა ნ. ქიქინაძემ, მაგრამ რა გაქირვებით, რა ომით მოიბოვა მან ეს უფლება! ბ. ივანე (ფიფი ვეკიტა) აბაშიძე მყისვე წამოიჭრა და თავის თანატოლებს შეეყვინა: გამოდით, ნუ უყურებთ, ეს ამაღაც გაერევა გარეთ სწორეთ მაშინ, როცა ადამიანი საბუთებით ხელში საბჭოს უმოქმედობას ამტკიცებდა, მის არარაობას არკვევდა, საზოგადოებას სინამდვილეს აუწყებდა. ამ სიტყვამ ყველასათვის, ვისაც წინათ განძრახული აზრი არ შეუფენია, ვინც გულწრფელათ ექიდება საქმეს და ნაძალადევათ კისერში ღვლექი არ უჭერია, ცხადყო, რომ არც ერთი იმ დადგენილებათაგანი, რომელიც წინანდელმა კრებამ საბჭოს მიანდო, მას არ შეუსრულებია. არ შეუსრულებია სწორეთ ის მონდობილებანი, რომელიც თვით საბჭოს თავმჯდომარის წინადადებით იყო შეტანილი, თვით ზდანოვიჩის მიერ იყო მიუცილებელ საქიროებათ ცნობილი; მუშათა უმთავრესი საქიროებანი სრულიად უყურადღებოთ დაუგდია კაცთმოყვარე არხი-ინტელიგენტს; იქ, საცა ნამდვილი საქიროება მოითხოვდა, საბჭოს ფული ვერ მოუბოვებია; როცა საზოგადო საქმე უნდა გაკეთებულიყო, სმეტის ფარგალშიაც ვერ უმოქმედია; ამას თურმე ზნეობრივი მოსაზრება უკარნახებდა მას! მხოლოდ როცა თავის თავს ჯამაგირებს უმატებდა, ეს კი შესაწყინარებლათ უცვნია, თავის სურვილი მშვენიერათ შეუთანხმებია ზნეობრივ პრინციპთან; ცხადყო, რომ „დიდებული“ აბანოს აშენება, რომელიც სმეტის დანიშნულებას 100,000 (ასი-ათასი მან.) აღემატა საბჭოს თვითნებობის ნაყოფია, რადგან მაშინ, როცა ყოველი საქირო საქმის შესახებ ის უფულობას შესჩივის და წუწუნობს, ისეთ რასმე აკეთებს, რაც ამ ჟამათ ამდენ ზედმეტ ხარჯს მოითხოვს და შემდეგ წლიურათ 14—15 ათას მანეთს წაიღებს, თუმცა შემოსავალი 4—5 ათას მანეთსაც არ აღემატება. ის მიწა კი, რომელზედაც აბანო აუშენებიათ და რომელიც მონასტრისგან იჯარით აუღიათ, სადავო ყოფილა და, ადვილი შესაძლებელია, ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი საბჭო იძულებული გახდეს თავისი „დიდებული“ აბანოთი აებარგოს იმ ადგილიდან. ცხადყო, რომ ბ-ნი ზდანოვიჩი წინანდელ კრებას დაბეჯითებით არწმუნებდა წყარო „Богатырь“ ჩვენი სრული საკუთრებააო, მაშინ როდესაც მას რკინის გზის მართველობა ფლობს და მის განკარგულებაშია; ცხადყო აგრეთვე სტატისტიკური ბიუროს სრული უფარვისობა, რადგან საბჭოს არა აქვს არავითარი ახალი წყარო ცნობების შესაკრებათ და ახალი „სტატისტიკა“ არსებითათ არაფრით არ განსხვავდება ძველისაგან. იგივე არა საიმედო საფუძველი საექვო ციფრები, რომელსაც თვით ავტორიც ცხადათ აღიარებს. ცხადყო, დასასრულ, ისიც, რომ ყველა ამ ფაქტების შემდეგ ყოველი გონიერი ადამიანი უარყოფს საბჭოს და მის თავმჯდომარეს, მხოლოდ თუ ამას არ შერებია, იმიტომ რომ ახალი საზოგადოების „შავი-ქვის“ დაარსებით ბ-ნმა ზდანოვიჩმა ამხანაგობის წევრებს მაგარი თოკი მოაბა, რომლის ერთი თავი მას ხერხიანათ ხელში უჭირავს და ყოველ ურჩს, თვითნება ადამიანს დარჩობას, განადგურებას უქადის. ცხადყო ყველაფერი ეს, მხოლოდ დაუყოვნებლივ ამის შემდეგ ინტელიგენციამ მისი ამალის შემწეობით, ულაპარაკოთ, განუსჯელათ ანგარიშის დამტკიცება მოითხოვა. კენჭის უმრავლესობით ანგარიში დამტკიცეს და ამით საბჭოს თავმჯდომარეს დიადი მადლი უძღვნეს. მეორე იმნაირათვე სახელგანთქმული დაწესებულებების მსგავსი თავმჯდომარე, რომელიც ერთხელ საბჭოში ისე მქვერმეტყველურათ ამტკიცებდა ნოტარების გარყვნილებას და მათთვის კვირა-უქმე დღეებში თავისუფლების მინიჭების საოცარ შედეგს, ნიშნათ მალლობისა იმ „რჩისათვის“, რომლითაც ბ-ნმა ზდანოვიჩმა ბნელით

მოკული „საქმენი-საგმირონი“, აქაური საკრედიტო ბანკისა ნათლათ, და უმწიველოთ აღიარა, პატენტურათ, არტისტიულათ თვალ-მიხედნელი ხელებ აპყრობით კრებას აჯერებდა: მე ვიხილე ის შესანიშნავი აბანო, მე ვიხილე ეს, «დიდებული» შენობა, კულტურისა და ცივილიზაციის მომასწავებელი, მაღალი, ლამაზი, უზარმაზარი უწმინდურთა, დასვრილთა, დაუბანელთა განსაწმენდელი და მერწმუნეთ, რომ ყოველი მუშა, რომელიც ერთს საათს მაინც გაატარებს შიგ, თქვენთვის ღმერთს ილოცავს, თქვენი ხსენება მათთვის უკვდავი და სამარადისო იქნებაო. ეს ლაყობაც კი ვაშას ძახილით დააჯილდოვეს, ეს უგუნური გამართლებაც კი საპატიოთ სცნო „გონიერმა“ ინტელიგენციამ.

აი როგორია დღევანდელი კრება, აი როგორ „ინტელიგენტურათ“ იქცევა ჩვენი ინტელიგენცია, აი როგორ მოქმედობს ბ-ნი ზდანოვიჩი და ამათ ბანს აძლევენ ზოგიერთი ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები; მწერლობა ხელს უწყობს სიმართლის დათრუნვას პიროვნების პატივსაცემთ და ასეთ მწერლობას კიდევ ქეშმარიტებისა და პატიოსნების მოსარჩლეთ მოაქვს თავი; მაშინაც, როცა მის წმინდა უფლებებს თელავენ და ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენლთ დასაჯდომი ადგილის თხოვნისათვის გარეთ გავდებას ემუქრებიან, ზოგიერთი ლიტერატორები, გაბედული გამოსარჩლების ნაცვლათ, მონურათ ქედს იხრიან და არამკითხეები სხვის მაგიერ ბოდიშს იხდიან, ქალაჩუნობენ, თავისს ნამდვილ მოვალეობას მსხვერპლათ სწირავენ ძალ-მომრეობას, სიფლიდეს, უსამართლობას და ურცხვ თავგასულობას.

ვხედავ ყველაფერს ამას და ოცნება ისევ წარსულისაკენ მიტაცებს, გულდაწყვეტილი ვადარებ აწმყოს, ვუმზერ იმავე ადამიანს, რომელსაც დღეს სათაყვანებელ ტალანტათ ინჟინერი მიხაილოვი მიუჩნევია, დიდებულ მწერლების ნაცვლათ, მის ცოდნასა და პრაქტიკულ მოქმედებაზე საზოგადოებას სამაგალიტოთ უთითებს, და უნებურათ ვრწმუნდები, რომ მაიაშვილს უკვე ზდანოვიჩის თბილ სავანეში თავი შეუფარებია განსასვენებლათ. მშვიდობა შენდა, ყოფილო ადამიანო!

ა. წულუკიძე.

შ ა გ ი ქ ვ ის მ რ ე წ ვ ე ლ თ ა

V კ რ ე ბ ა ჟ უ თ ა ის შ ი .

წ კ რ ი ლ ი მ კ ს ა მ ე .

ვგონებ არც ერთ საქმეში საბჭო ისე აშკარათ არ წასულა ლოლიკის და ფაქტების წინააღმდეგ, როგორც მუშებისთვის საავთმყოფოს შენობის გაკეთების საქმეში. ასეთი შენობის საჭიროება აღიარებულ იქნა როგორც კავკასიის სამთო გამგეობის, ისე თვით მრეწველთა კრების მიერ. ჯერ კიდევ მესამე კრებამდის, ე. ი. 1900 წლის დასაწყისში კავკასიის სამთო გამგეობის განკარგულებით და თხოვნით ჭიათურის ქსენონის სამეურნეო გამგეობა გადაეცა საბჭოს, იმ მოსაზრებით, რომ სამკურნალო საქმე ჭიათურის მადნებში უმჯობესათ მოწყობილიყო და ამასთანავე გაედიდებიათ სახლი, სადაც მაშინ მოთავსებული იყო ქსენონი, სანამ ახალი შენობა გაკეთდებოდა¹⁾. თავის მხრით მრეწველთა მესამე კრებამ მიანდო საბჭოს ჭიათურაში საავთმყოფოს შენობის გაკეთება, რისთვისაც გადადებული იქნა, როგორც ერთდროული ხარჯი, 69,000 მანეთი. ამნაირათ საავთმყოფოს გაკეთება პირველხარისხიან საჭიროებათ იქნა მიჩნეული და იმის გაკეთება კიდევაც გადაწყდა სასურველათ ვისგანაც ეს

¹⁾ იხ. Отчетъ о дѣятельности совѣта, избраннаго на I сѣздѣ. Хозяйств. часть, стр. 9.

დამოკიდებული იყო. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ კრებას არ ძალუძს სისრულეში მოიყვანოს თავის გადაწყვეტილება და განაჩენი; ამისათვის იგი ირჩევს საბჭოს, რომელსაც მრეწველთა აღმასრულებელი ორგანოა და რომელსაც მრეწველთა კრების დადგენილებანი და განაჩენები. ასეა ყოველგან, სადაც რაიმე წესი და სისტემა შემოღებული, სადაც საურთიერთო პატივისცემა სუფევს და სადაც თვითნებობას ალაგი არა აქვს. სამწუხაროთ, ასეთი წესი არ ყოფილა შავი ქვის მრეწველთა შორის, მათი კრება მოკლებული ყოფილა პატივისცემას, და იქ გაბატონებული ყოფილა თვითნებობა. აი როგორი ყოფილა ხსენებულ მრეწველთა თვითმართველობა, რომელზედაც ასე ხშირათ უთითებს ხოლმე ბ. ზდანოვიჩი.

მესამე კრების გადაწყვეტილების შემდეგ საბჭოს დაუყოვნებლივ უნდა დაეწყო საავთმყოფოსთვის შენობის აგება. ეს იყო საბჭოს მოვალეობა, თუ იგი პატივისცემდა მრეწველთა კრებას. მაგრამ საბჭო გადუდგა კრების გადაწყვეტილებას, მან უკუაგლო კრების დადგენილება საავთმყოფოს გაკეთების შესახებ, რითაც აშკარათ შელახა და გათელა კრების უფლება. რა უფლებით? რა მოსაზრებით? პირველ კითხვაზე ჩვენ პახუხს ვერ მოგცემთ, ვინაიდან სადაც თვითნებობაა, იქ არავითარ უფლებას ადგილი აღარ აქვს. ხოლო რაც შეეხება მოსაზრებას, ამის შესახებ აი რას ვკითხულობთ საბჭოს მოქმედების (უფრო მართლა რომ ვთქვათ უმოქმედობის) „ანგარიში“: საბჭო არ შეუდგა მუშებისათვის საავთმყოფოს აგებას იმიტომ, რომ ჭიათურაში არსებული ქსენონი თავის სიდიდით (по размѣрамъ своимъ) და კარგობის რაოდენობით სავსებით აკმაყოფილებს მადნებში მომუშავე ხალხის მოთხოვნილებას საექიმო დახმარებაში. გარდა ამისა მას (საბჭოს) მრავალი დაბრკოლება აღმოუჩნდა იმ მხრით, რომ შესაფერი ადგილის გამორჩევა გაძნელდაო (Отчетъ, გვ. 30). ამნაირათ როგორც ხედავთ, საბჭოს აზრით საავთმყოფოს გაკეთება ჭიათურაში საჭირო აღარ ყოფილა, ვინაიდან მისი აზრით, არსებული ქსენონი თურმე სავსებით აკმაყოფილებს მუშა ხალხის მოთხოვნილებას საექიმო დახმარებაში. მაგრამ ნუთუ საბჭოს იმ საკითხის გადაწყვეტა მიანდვეს, საჭიროა თუ არა ჭიათურაში საავთმყოფოს გაკეთება? კრებამ მას შენობის აგება მიანდო, და იგი კი ამ გადაწყვეტილების კრიტიკას შედგომია! მართალია კრიტიკა სასარგებლოა, მაგრამ საბჭომ კრიტიკოსობა დაიწყო იქ, სადაც ამას ადგილი არ უნდა ქონოდა. ჩვენ ქვევით დავინახავთ, თვით ბ. ზდანოვიჩის სიტყვებიდანაც, რომ საავთმყოფოსათვის ახალი შენობის აგება ჭიათურაში მიუცილებელი საჭიროება ყოფილა იმ თავიდანვე. მაგრამ, თქვენ ვგონიათ, რომ საბჭო ბოლომდე გაყვა თავის მოსაზრებას? სრულებითაც არა. რამდენიმე სტრიქონის შემდეგ, სადაც საბჭო ამბობს, რომ ჭიათურის ქსენონი სავსებით აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნილებას, იგი ამბობს: „ამჟამათ შეძენილია ადგილი, სადაც უნდა გაკეთდეს საავთმყოფო და ამასთანავე დაიწყეთ შენობისათვის მასალის დამზადებაო“ (Отчетъ, გვ. 31). რას ნიშნავს ეს: ყველაფრის სასაცილოთ აგდებას თუ საბჭოს ულოლიკობას? ჩვენის აზრით ერთსაც და მეორესაც, მაგრამ უფრო კი ულოლიკობას. თუ საბჭო იმისთვის არ შეუდგა საავთმყოფოსთვის შენობის აგებას და კრების დადგენილება უკუაგლო რომ არსებული ქსენონი სავსებით აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნილებას, რილასთვის შეიძინა მიწა და ან რისთვის შეუდგა მასალის დამზადებას? აქ ისეთი ულოლიკობა და წინააღმდეგობაა, რომ მსგავსი მძალოთი ძნელი მოსაპოვებელია. ჩვენი აზრით საბჭოს ასეთი ულოლიკობა მხოლოდ იმას მოწმობს, რომ იგი სრულებით ულონო ანუ უნიქო ყოფილა იმ საქმეში, რომელიც მას მიანდვეს.

საბჭომ სრულებით უყურადღებოთ დატოვა აგრეთვე იაფფასიანი სასაღილოების გამართვა. „იმათი მოწყობა არც ისე ადვილი საქმეა, როგორც ეს პირველი შეხედვით გგონებათო“, — გვახლის გონიერა საბჭო. „იფფასიანი სასაღილოების გამართვაში დაბრკოლება აღმოგვიჩნდა, როგორც უფულობის გამო, ისე ისეთი სასაღილოს ტიპის გამოძებნაში, რომელიც ადგილობრივ პირობებს შეეფერებოდეს“ (Отч., გვ. 41). აქედან გამოდის, რომ საბჭო თითქო ბევრს ცდილა იაფფასიანი სასაღილოების გამართვის თაობაზე, მაგრამ მას ამისთვის არც ფული ჰქონებია კრების მიერ გადადებული, და აგრეთვე სასაღილოს შესაფერი ტიპი გამოუძებნია. სირცხვილია ასეთი ტყუილები! იმ საბჭომ, რომელმაც რვა ათასი მანეთის მაგივრათ 110 ათას მანეთამდის დახარჯა აბანოზე, ნუ თუ ამ საქმისათვის მცირე წვლილს ვერ აღმოაჩინდა? სრულებით ამათ ცდილობს გაიმართლოს თავი საბჭომ საყვედურისგან იმ მოსაზრებით, რომ კრებამ მას ამ საქმისთვის საქარო, თანხა არ მისცაო. ამას მნიშვნელობა ექნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ საბჭოს ყოველ ფეხის ნაბიჯზე კრების განაჩენი და გადაწყვეტილება არ დაურღვია და ფეხით არ გაეთელა. დღეს კი საბჭოს თავის გამართლება ასეთი საშუალებით მწარე დაცინვა და მეტი არაფერი; ამას ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს.

ზევით ნათქვამიდან თქვენ რამდენიმე გაიგებდით, თუ რაში გამოიხატა ქიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მოღვაწეობა გასული 2¹/₂ წლის განმავლობაში. წვრილმან ფაქტების დასახელებით მე აღარ მოგაბეზრებთ თავს. ახლა გადავღვივარ თავდათავ საგანზე, ე. ი. იმ განმარტებაზე, რომელიც ბ-მა ზდანოვიჩმა გაუკეთა სარევიზიო კომისიის მოხსენებას. მრეწველთა მთავარი საქმეები შეკავშირებულია ფულის დახარჯვასთან. კრება წინდაწინ ადგენს ხარჯთ აღრიცხვას და აძლევს მას საბჭოს სისრულეში მოსაყვანათ. საბჭოს არავითარი უფლება, არც იურიდიული და არც ზნეობრივი, არა აქვს კრების დაუკითხავათ ამ ხარჯთ აღრიცხვის ფარგლიდან გამოვიდეს. სარევიზიო კომისიის მოხსენებამ დაგვიმტკიცა, რომ საბჭოს თითქმის არც ერთი მუხლი, არც ერთი სტატია ამ ხარჯთ აღრიცხვისა არ მოუყვანია სისრულეში სისწორით. მაგ., საბჭოს ვერ მოუწყვია სტატისტიკური ბიურო, როგორც ეს საქარო იყო, არ დაუწესებია სტიპენდიები, არ გაუმართავს სკოლები, არ გაუკეთებია ქიათურაში შენიშენი არც თავისთვის და არც საავათმყოფოსთვის, ვერ შეუყიდა ამისთვის დროზე მიწები, გზებზე და ხიდებზე დაუზოგავს 57,576 მანეთი, რის გამო გზები საშინელ ცუდ მდგომარეობაშია და იმათი გაუმჯობესება უპირველესი საქმეა მთელი მრეწველობისათვის; იმავე დროს საბჭოს თავის ნებით მაუცია ზედმეტი თავმჯდომარის მოადგილესათვის 1651 მან., საბჭოს წევრებისათვის 1,300 მან., დაუზოგავს საავათმყოფოზე 14,657 მან., დაუხარჯავს აბანოზე 109,000 მანეთი, როცა ამისთვის კრებამ გადადო მხოლოდ 8 ათასი მან., და მრავალი სხვ. ასეთი მოქმედებით საბჭომ უარყო კრებადი მისი გადაწყვეტილებანი, მან სრულებით გააუქმა თვითმართველობა და გააბატონა თვითნებობა. სარევიზიო კომისიის მოხსენების წაკითხვამ კრებაზე ყველასათვის თვალსაჩინო ჰყო ასეთი საშუალო მოვლენა ჩვენ ცხოვრებაში. მაგრამ ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ ბ-მა ზდანოვიჩმა შეიკლიმა ყოველივე ეს, ნუ თუ თქვენ ფიქრობთ, რომ მას ოდნავაც მაინც შერცხვენოდეს კრების უფლების აშკარათ დარღვევისათვის? სრულებითაც არა. და აი სწორეთ პირველათ აქ წარმოდგა ჩვენს წინაშე ეს ვაჟბატონი მთელი თავისი გონებრივი და ზნეობრივი ფიზიონომიით; აი აქ დაგვიმტკიცა მან, თუ რა ზომამდის შეიძლება დაეცეს და დაქვეითდეს ადამიანის ზნეო-

ბა და გონიერება. ბ-მა ზდანოვიჩმა თავის გრძელ და უმწირო სიტყვაში, რომელიც სარევიზიო კომისიის წინააღმდეგ იყო მიმართული, თვალსაჩინოთ დაგვიმტკიცა, რომ მრეწველთა კვებითების გაზაზე საკმარისათ შორს წასულა მისი სიტყვი. შემკული იყო სოფიზმებით და კაზუსტიკური დასკვნებით. მისი ხერხი იმაში მდგომარეობდა, რომ დაეხსენებია მყურებელთათვის მოხსენების გაგება, ამისთვის აქცევდა ყურადღებას განსაკუთრებით მეორე და მესამე ხარისხიდან შენიშვნებს ან და ცალკე სიტყვებს. იგი მთელი საათობით ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ სარევიზიო კომისიის მოხსენებას ცუდი სუნი უდის, ეს მოხსენება საავიტაციო მიზნით არის დაწერილი, მას პირუცავენლობა აკლიაო. აბა გვიჩვენეთ რაში ჩანს საბჭოს ბოროტ მოქმედებაო, — იკითხა ბ-მა ზდანოვიჩმა. დავისახელოთ, რა ბრალი გვედებოა? სარევიზიო კომისია ბევრს ეცადა, მაგრამ ვერსად ვერ აღმოაჩინა, რომ ჩვენ რომელიმე ხარჯი ან შემოსავალი დაგვრჩენოდეს ჩაუწერილი, ან ნაკლები დაგვეხარჯოს, ვინემ გვიწერიაო. ბ. ზდანოვიჩს შეიძლება გონია, რომ რაკი კასაში ფული არ დაკლებიათ, მაშასადამე საბჭოს ბოროტმოქმედება არ ჩაუდენია. მაგრამ ბ. ზდანოვიჩი ცდება. სარევიზიო კომისია საბჭოს ქურდობაში კი არ ამტყუნებდა, არამედ იმაში, რომ იგი სისტემატიურათ არღვევდა კრების გადაწყვეტილებას. ე. ი. ხარჯავდა იქ, სადაც არ უნდა დაეხარჯა, და ზოგავდა იქ, სადაც არ უნდა დაეზოგა. ეს დარღვევა არ მომხდარა შემთხვევით, ეს საბჭოს ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა; საბჭომ უკუაღლო კრების დადგენილებანი, მოქმედების პროგრამა, რომელიც მას კრებამ მისცა, და თვისი პროგრამა გამოიგონა. და აი ეს არის ბოროტმოქმედება.

არ შეგვიძლია უფრო დაწვრილებით არ შევეხლო ბ. ზდანოვიჩის სიტყვის იმ ადგილს, რომელიც იმავე ქიათურის ბედკრულ ქსენონს შეეხება. თქვენ უეჭველათ გახსოვთ სარევიზიო კომისიის მოხსენების ის ადგილი, სადაც ქიათურის საავათმყოფოს საზარელი სურათია დახატული. ბ. ზდანოვიჩი კატეგორიულათ უარყოფს ამას და დასამტკიცებლათ მოყავს ერთი ადგილი ქუთაისის გუბერნატორის ანგარიშიდან, სადაც ნათქვამია, რომ ქიათურის ქსენონი მთელ გუბერნიაში სამაგალითაოა. მაგრამ ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რა ფასი აქვს ასეთ მოხსენებას. აი ამის დასამტკიცებელი საბუთი. 20 სექტემბერს 1900 წელს თითონ ბ. ზდანოვიჩი სამიწათმოქმედო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს წერდა, სხვათა შორის: „ამ უბედურ დროს (როცა ქიათურაში გადამდები სენი მძვინვარებდა) ქიათურის ქსენონმა, რომელიც საბჭომ, შეიძლება ვთქვათ, სხვაგვარათ მოაწყო“, დიდი სამსახური გაუწია ქიათურის მადნების მუშებსო“ (იხ. „Отч.“, გვ. 7). და აი ეს „სამაგალითოთ მოწყობილი“ ქსენონი რამდენიმე თვის შემდეგ, როგორც გამოაშკარავა ორჯერ ზედიზედ მოხდენილმა რევიზიამ, აღმოჩნდა ისეთ გასაოცარ მდგომარეობაში რომ აწერაც ძნელია. იქ არც ექიმი ყოფილა თავის ადგილს, და არც დანარჩენი მოსამსახურენი. შენობა არ ვარგა, სისუფთავე არ არსებობს, ავათმყოფები ყველანი თითქმის ერთათ არიან არეული, საქმელი მათ არ ეძლევათ რიგზე და საკმარისათ; ანგარიში არ იციან რა არის, არც ექიმმა და არც ზედამხედველმა, და სხ. და სხვ. აი ამას ქვია „სამაგალითოთ მოწყობილი“! სარევიზიო კომისიის მოხსენების ავტორები მაშინ არ იყვენ ბ. ზდანოვიჩის მოწინააღმდეგენი და ვგონებ, ბ. ზდანოვიჩი მაშინდელ ამათ შენიშვნებში ექვს ვერ შეიტანს, რომ ვითომც ყოველივე ეს საავიტაციო მიზნით ყოფილიყოს ნათქვამი. ამიტომ ჩვენ ექვი შეგვაქვს უფრო თვით ბ. ზდანოვიჩის სიტყვებში, რომ ქიათურის ქსენონი 1900 წ. დამღვეს საბჭოს მიერ ვითომც „სამაგალითოთ ყოფილიყოს

მოწყობილი“. სარევიზიო კომისიის ახალ მოხსენებას, რომელიც დღევანდელ კრებას წარედგინა და რომელიც იმეორებს და ამტკიცებს იმასვე, რაც წინანდელ მოხსენებაში იყო ნათქვამი, ბ. ზდანოვიჩი არ ღებულობს იმიტომ, რომ იგი სააგიტაციო მიზნით არის შედგენილი; მაგრამ ეს ხომ საბუთი არ არის. განა ყოველივე ის, რაც იქ აწერილია, სიმართლე არ არის? ვის შეუძლია იმის უარსყოფა, ვარდა ბ. ზდანოვიჩისა? განა აშკარა არ არის, რომ ავანტიურები იქ უპატრონოთ არიან? განა ყველამ არ იცის, რომ საავანტიურულს ეჭიმი ბ. ჯაფარიძე მთელი კვირაობით და თვეობით ჭიათურას სრულებით არ ეკარება? მხოლოდ ერთში კი გამოტყდა ბ. ზდანოვიჩი, სახელდობ იმაში, შენობა არ ვარგაო და სანამ ჩვენ საკუთარ შენობას არ ავაგებთ, იქამდის ყველა იმ ნაკლულევიანებათა აცალევა, რომლებიც შენობის სივიწროვით არის გამოწვეული, ყოველად შეუძლებელიაო. მაგრამ აქაც წაიკოქლა ჩვენმა გმირმა. მას სამართლიანათ შენიშნეს, რომ ხუთი ათასი მანეთით ყველა ეს ნაკლულევიანებიანი აკლულებული იქნებოდა, რომ სპეკულაციონერული კურადღება მიექციაო. მაგრამ ბ. ზდანოვიჩი სხვანაირათ მსჯელობს: ჩვენ აზრათ გვაქვს საავანტიურულსთვის ცალკე შენობა ავაგოთ და რისთვის დავიხარჯოთ ახლა? სამწუხაროთ ის არ ფიქრობს იმაზე, რომ დღევანდელი ავანტიურები ამ შენობის გაკეთებას ვერ მოუტყაიან. ეს არაფერი. თუ უამისოთ საავანტიურულს გაუმჯობესობა ყოველად შეუძლებელია, ერთი ვიკითხოთ, რას ფიქრობდა ამის თაობაზე საბჭო მთელი 2 1/2 წლის განმავლობაში? მისი აზრით, ჭიათურის ქსენონი ხომ საესებით აკმაყოფილებს მანებში მომუშავე ხალხის მოთხოვნილებას? რომელი ზდანოვიჩია მართალი: ის ზდანოვიჩი, რომელმაც „საბჭოს მოქმედების ანგარიში“ შეადგინა, თუ ის, რომელიც ამბობს, რომ სანამ შენობა არ გაკეთდება, იქამდის საავანტიურულს დღევანდელი სამწუხარო მდგომარეობის გაუმჯობესობა ყოველად შეუძლებელია? ჩვენ ვამბობთ, რომ არც პირველია მართალი და არც მეორე. ჩვენ ვიცით, რომ ბ. ზდანოვიჩი იქაც სტყუის და აქაც; ვინაიდან დღევანდელი ქსენონი რომ არ აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნილებას, ეს ცხადზე უცხადესია. აშკარაა აგრეთვე ისიც, რომ თუ საბჭო მოინდომებდა და ფულს დახარჯავდა რამდენიმეთ დღევანდელ პირობებშიაც გაუმჯობესებდა საქმეს. მაგრამ მან არ მოისურვა არც ახალი შენობის გაკეთება, და არც ძველის შეკეთება,—და ასეთ მოქმედებას ჩვენ ენაზე ბიროკრატქმედება ეწოდება, რომ უფრო მწვავე სიტყვა არ ვინხაროთ.

მაგრამ ბ. ზდანოვიჩს საყვედურს ვერ ვეტყვით: იგი თურმე ნამეტანს ზრუნავს მუშებისათვის, ამათვის მას არაფერი არა შურს: მან აუგო მუშებს ჭიათურაში ისეთი აბანო, რომელიც მეცნიერების უკანასკნელ სიტყვას შეადგენს, რომელიც მუშებს საშუალებას აძლევს ისარგებლოს თანამედროვე ბურჟუაზიულ კომფორტებით, ფუფუნებით. ბატონებო, მიმართა ბ-ნმა ზდანოვიჩმა მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველთ,—რათ არ გსურთ თქვენ, რომ მუშებმაც ისარგებლონ იმ კეთილი ცხოვრებით, რომლითაც სარგებლობს საზოგადოების მდიდარი ნაწილი! ბ-ნ ზდანოვიჩს ამ სიტყვებისთვის ტაში დაუკრეს, მაგრამ რიცხვში არ ერია არც ერთი იმთავანი, ვისაც მუშა ხალხისათვის ნამდვილი სიკეთე სურს და ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ბ-ნ ზდანოვიჩს ამ ხალხისათვის სიკეთეთე სდომებოდა, ის სხვა რასმე ეცდებოდა, სახელდობრ იგი იმეცადინებდა, ჭიათურის რაიონში განხილული სკოლები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, გაკეთებულიყო საავანტიურულთ, რამდენსამე ადგილას აბანო, და თვით მუშა ხალხის მდგომარეობაც შეესწავლათ. ყოველივე ეს უკუაგდო ბ-მა ზდანოვიჩმა და რაღაც ფუფუნება აბანო გააკეთა ჭიათურა-

ში, რომელიც დღევანდელ ჭიათურის მუშებს ისე შეუკრის, როგორც ძონძებში გახვეულ და ფეხშიშველა კაცს რომ ფრაკი ჩააცვათ დღ თავზე ცილინდრი დახურული კაპი და დაცინა არ არის? მაგრამ ბ-ნმა ზდანოვიჩმა დახურული კაპი მარტო მუშა ხალხს, არამედ თვით მრეწველთა კრებას. მან კრებაზე განაცხადა შემდეგი: ჩვენ გვისაყვედურებენ, რომ მესამე კრებაზე აბანოს ასაშენებლათ ვითომც 8 ათასი მანეთი ყოფილიყოს გადადებული და ჩვენ კი, ე. ი. საბჭოს, ასი ათასი მანეთი დავხარჯოთ ამ საქმისთვისო. ეს ტყუილიაო,—ბრძანა ბ-ნმა ზდანოვიჩმა და აი რა მოსაზრებით: ჯერ ერთი ისა, რომ აბანოზე ჩვენ ასი-ათასი მანეთი კი არ დავიხარჯავს, არამედ მხოლოდ 34 ათასი მანეთი მოვანდომეთო. და მართლაც თუ ბ-ნ ზდანოვიჩს დაუჯერებთ, ჭიათურის აბანოს რომ გამოაკლოთ ყველა ის შემადგენელი ნაწილები, ურთმლისოთ იგი აბანო არ იქნება, მაგ., წყლის გასაყვანი და გასათბობი იარაღები, განათების მოწყობა და სხვა რამეები, რის შემდეგ ჩვენ მხოლოდ კედლები დავკრებთ ხელში. გამოვა, რომ ასეთ კედლების ასაშენებლათ მხოლოდ 34 ათასი მანეთი დასჭირდებათ. მაგრამ ეს ხომ სისულელეა, ეს ხომ აბანო არ არის. ბ-ნ ზდანოვიჩის აზრით საბჭოს 34 ათასი მანეთი ქონება მესამე კრებისაგან მონდობილი სხვადასხვა ხარჯებისათვის ჭიათურაში, და აი, ეს ფული ჩვენ მოვანდომეთ აბანოსო. სოფიზმებიც ასეთა უნდა, ვიტყვით ჩვენ. ჩვენ მხოლოდ ის გვაკვირვებს, რომ კრება იმ ზომამდის როგორ გაძაბუნდა და დაბრმავდა, რომ ასე სამასხაროთ ადღებია თავი.

დასასრულ თავის გრძელ სიტყვისა ბ-ნმა ზდანოვიჩმა მიმართა კრებას და თხოვა (უფრო მართალია რომ ვთქვათ უბრძანა): ჩემი განმარტება მიიღეთ, საბჭოს მიერ წარმოდგენილი ფულის ანგარიში დამტკიცეთ და სარევიზიო კომისიას საყვედური გამოუცხადეთ საბჭოს ცოდვების მხილებისათვისო. კრების უმრავლესობა ამ სიტყვებს ტაშის ცემით მიეგება და თანაც დასძინა: „მივიღოთ, მივიღოთ!“ ახლა ჩვენ ვიკითხოთ: რას ნიშნავს ბ-ნი ზდანოვიჩის უკანასკნელი სიტყვები და აგრეთვე კრების უმრავლესობის პასუხი? ბ-ნმა ზდანოვიჩმა ერთ ადგილას, როცა გზებზე იყო ლაპარაკი და სარევიზიო კომისია შედარებით კარგათ იხსენიებდა საგუბერნიო მართველობის მიერ გაკეთებულ გზებს ჭიათურის მახლობლათ, განაცხადა: აი, ბატონებო, სად მარხია ძაღლის თავი. სარევიზიო კომისია ამ გზებზე იმიტომ გეითითებს, რომ მას სურს ჩვენ წავგართვან თვითმართველობაო.—მე არ ვიცი რას ფიქრობდა სარევიზიო კომისია, მხოლოდ ბ-ნ ზდანოვიჩს ვიკითხავ: ყველა ის, რაც მან ჩაიდინა, როგორც მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარემ, განა თავიდან ბოლომდის არ უთხრის ძირს თვითმართველობას? სადღაა აქ თვითმართველობა? მას შემდეგ რაც ბ-ნმა ზდანოვიჩმა დაარღვია კრების დადგენილებანი, გადაჯექნა მისი სურვილი, და სამაგეროთ თავის სურვილი გააბატონა, თვითმართველობაზე მას ლაპარაკი აღარ შეუძლია. ნუთუ მას მართლა გონია, რომ თავის მოქმედებით იგი თვითმართველობას იცავს. დავარწმუნებთ ბ-ნ ზდანოვიჩს, რომ თუ სიტყვა თვითმართველმა მისთვის უბრალო ოინბაზობა არ არის, სიტყვის მასალათ ნახმარი, ის ძლიერ სცდება. ეს თვითმართველობა კი არა თვითმართველობაა, როგორც ერთმა წევრმა ეს საჯაროთ განაცხადა კრებაზე. რაც შეეხება კრებას, მან თითონ უარყო თავის თავი, და იმაზე აბა რაღა გვეთქმის! როცა კრებამ ვამართლა საბჭოს მოქმედება, ხელი დააფარა ყველა მის ბიროკრატქმედებას, იმან ამიერიდან არსებითათ მოსპო თავის არსებობა და ყოველივე უფლება გადასცა საბჭოს. ბარაქალა, კრებავ! ასეთი თვითმართველობა ნურამც ყოფილა, იმის გაუქმებით ჩვენ არაფერს არ ვკარგავთ. მრეწველთა კლასი აღარ არის დღეს,

ის კლასი, რომელიც ხელს უწყობს ნამდვილ თვითმართველობის აღორძინებას და განვითარებას. ეს პრინციპი, ანუ იდეა სულ სხვა კლასში იდგამს ფეხს და მხოლოდ იქიდან უნდა მოველოდეთ ხსნას.

გარეშე მეთვალყურე.

(შემდეგი იქნება).

შ ი ნ ი ა ნ ო ბ ა .

ბ-ნი „ინი“ არ ცნობს; იგი ჩდილობს თავისი დამტკიცება, მაგრამ ამით მხოლოდ თავის უინანტობას ამტკიცებს. „იუკრიის“ მე-2-ე №-ში ჩვენდა სახასუროთ წერილი დასტავა, სადაც „უნტერ-ლაფიცრის ცრლის“ არ იუოს თავის თავი სასტიკათ გაშლელა. ამ წერილში მან დაარღვია ის, რასაც წინეთ ამტკიცებდა და დასაბუთა ის, რასაც ჩვენ ვამბობდით; დაჯანსხეთ ბ-ნი „ინის“ ეს გარემოება.

თავის წინა წერილში (იხ. „იუკრიის“ № 257) ბ-ნმა „ინმა“ საზოგადო საქმის მოწინააღმდეგეთ დაგვასხა და თავის აზრის დასამტკიცებლათ ყაღბი საბუთი მოიყვანა. ჩვენ აღვნიშნეთ ეს გარემოება (იხ. „კვალა“. № 51), ბ-ნი „ინის“ სიტყვებს ჩვენს შესახებ მტკნარი სიტყვით ვუწოდეთ და მოვიყვანეთ სიტყვა-სიტყვით ის, რაც ჩვენ ვსთქვით ურდობის დღეს ბოქაულ ოქრობიროძისთან ეხლა ბ-ნი „ინი“ გვეთანხმება—მართალია თქვენ ეს სთქვითო (აქ მოყავს ჩვენ მიერ ნათქვამი სიტყვები)—და განაგრძობს: ...„მაგრამ თქვენ მხოლოდ გავიწყდებთ ერთი ფრაზა: „ამისთანა მძიმე საქმეს დაჩქარებით მოქმედება არ უნდა ღაღაღა“. „გამეორებთ, თქვენ ეს სიტყვები სთქვით საზოგადოებაში“-ო.

რომელი ერთია მართალი, რომელი ერთს დავუჭერთ „ნამდვილ ცნობების მიუღვთმლათ მიმწოდებულთ“ კორესპონდენტო? (ბ-ნი „ინი“ ამ სასულს უწოდებს თავის თავს) წინეთ სწერდით: „ბ-ნმა კიკალიშვილმა ხაღხს მიმართა—დაჩქარებით მოქმედებთ, აფთიაქი საზოგადოებას არ მოგატანთო“, ეხლა კი უკანასკნელ სიტყვებს უარყოფთ და გაიძახით—ბ-ნმა კიკალიშვილმა სთქვა --„ამგვარ მძიმე საქმეში დაჩქარებით მოქმედება არ უნდა ღაღაღა“. მაგრამ დავუთანხმეთ ერთ წამს - მატოვცემულ კორესპონდენტს, რომ ეს უკანასკნელი სიტყვები მართლაც იყო ჩვენ მიერ ნათქვამი! მე რა! რა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ აქედან?

ჩვენი ბაასი ბ-ნი ოქრობიროძისთან შემდეგი სიტყვებით დავაბოღავეთ: „ყოველ შემთხვევაში საჭიროა სიფრთხილე და საქმის კარგათ გაგება“. თუ ბ-ნი „ინი“ ცრლათა მანტ ამოძრაებს გონებას, დაინახავს, რომ სადაც სიფრთხილე და საქმის კარგათ გაგებაა, აქ დაჩქარებით მოქმედება აღარ არის,—და როდესაც ბ-ნი ოქრობიროძის სიფრთხილეს და საქმის კარგათ გაგებას ვურჩევდით, ამით ვუუბნებოდით—დაჩქარებით არ ემოქმედნათ. შკითხველი სედავს, რომ ბ-ნი „ინის“ მიერ მოყვანილი სიტყვები არ არდევს ჩვენ მიერ გამოთქმულ აზრს, რომ აღნიშნული ფრაზა შირიქით შეიტავს იმავე აზრს, რაც ჩვენ გამოთქვით სიტყვებით—„საჭიროა სიფრთხილე და საქმის კარგათ გაგება“. ამგვართ, თავის სახასურო წერილში ბ-ნი „ინი“ სავსებით გვეთანხმება და თითონვე აღიარებს, რომ ურდობის დღეს ჩვენ მიერ ოქრობიროძისთან ნათქვამი სიტყვები—სრული სინამდვილეა. ჩვენთვის ეს საკმარისია! ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამგვარი აღსარება მას შემდეგ, რაც ბ. „ინმა“ შირველ წერილში გამოთქვა, თავის თავის გამოცხადება. ბ. „ინი“ ცრლათი თითონაც გრძნობს ამას და რომ შოლტის სიმკაცრე შესამსუბუქოს, იქვე სწერს: „ვევლათ თქვენი სიტყვების კიდის რომ ურდოდება არ მივაქციოთ. (გესმით, შკითხველო! ეხლა სიტყვების კიდობზე დაზარაობს. იცის თუ არა ბ. „ინმა“, რომ სიტყვების კიდობი რამე დასკვნის გამოყვანა ნამდვილ საბუთის უჭინდობას იწინავს, რომ სიტყვების კიდობზე დაზარაობი იგივე სხვის გულში ხელის ფათურია; ეს უკანასკნელი კი ეთივის მსრფე მუტად შეუსაბამო საქციელია, და ამგვარი საქციელის ჩადენა, როგორ

კვადრება „დაბრახიელ გორე მონდენტს“ „დაბრახიელ“ გახეთიას), მანტ, საქმის გადაწყვეტილების დროს უკანასკნელათ თქვენი სიტყვების თქმა, საქმის საწინააღმდეგოა, ამას არც ისე უნდა გვეწყალო და დიდი ღაღაღა უნდა“-ო.

ჩვენ ვამბობდით: „ნუ თუ საზოგადო საქმეში გაფრთხილება, საჭირო ცნობების მიწოდება საზოგადო საქმის დადატს, წინააღმდეგობას ნიშნავს? სად არის აქ ღაღაღა, სად არის სადი გონება“- თქო. ბ. „ინი“ კი გვიპასუხებს—საზოგადო საქმეში გაფრთხილება იგივე დადატა—ამას გვეუბნება ღაღაღაც და სადი გონებაცო. დაკვიფრება ბ. „ინისათვის“ ამგვარი ღაღაღა და სადი გონება! კვლავც განაგრძობს ამ-გვარი მსჯელობა; იქნება ოდესმე შეიგნოს, რომ ამ გვარი ღაღაღა და სადი გონება უღაღაღობას და უგუხურებას ნიშნავს.

წინა წერილში ჩვენ ვამბობდით—საზოგადო აფთიაქის დაარსების შესახებ ცნობები მოგვაწოდა გუბერნიის ექიმის თანაშემწემ ბ. გარნოვიმთქო. ჩვენს რბინანს კორესპონდენტს ეჭვი შეაქვს ჩვენი სიტყვების სინამდვილეში და გვეკითხება: „ნუ თუ მართლაც მის მიერ მოყვანილი ცნობები მაწოდებდა მას გუბერნიის ექიმის თანაშემწემ? შეიძლება ეს რამე სხვა გარემოებამ ათქმევინა მას“-ო. (გამბედაობაც გაკლიათ, ბ. „ინმა!“ რათ არ იტყვიოთ, სასულდობრ—რამ?) შემდეგ ამისა მოგვითხრობს, რომ ბ. გარნოვის ერთი ბ. „ინის“ მეგობრისათვის გადაუტია—მთავრობა უსათუად დააკმაყოფილებს ხანულების თხოვნას საზოგადო აფთიაქის გახსნის შესახებ.

რომ ბ-ნი „ინი“ იჭვის თვლით უფურებს ჩვენს სიტყვებს, ეს გასავერგველი არ არის, რადგან თითონ ძლიერ ვადვილებთ შეთხზულ ამუბის გაზეთში გამოქვეყნება, ფიქრობს, რომ ეს სხვისთვისაც ადვილია; ადამიანის შსინდოლოგია ამგვარია. ჩვენ გვინდა მხოლოდ დაჯანსხეთ ბ-ნი „ინის“, რომ ბეჭდვითი სიტყვას მეტის-მეტე სიფრთხილით ვეზერობით, და თუ რასმე დავსწერთ, უთუოთ უტყუარის ფაქტებით დასაბუთებულს.

ჩვენ დაბეჭდვით ვამბობთ, რომ ჩვენ მიერ მოყვანილი ცნობები საზოგადო აფთიაქის დაარსების შესახებ მოგვაწოდა სასულდობრ ბ-ნი გარნოვიმ. ჩვენს დაზარაკს შესამე შირიც დავსწერო, რომელიც დასამტკიცებს ჩვენი სიტყვების სინამდვილეს: მაგრამ, რომ შესამე შირს არ მივმართათ, ჩვენ მზათა ვართ ბ-ნი „ინის“ თანდასწრებით განგაცხადათ ბ-ნი გარნოვიც წინაშე, რომ აღნიშნული ცნობები მან მოგვაწოდა. ეხლა წინადადებას ვაძლეოთ ბ-ნი „ინის“—დასახულეს ის თავის მეგობარი, რომელსაც ბ-ნი გარნოვი ვითომ გადასცა—მთავრობა უსათუოთ დააკმაყოფილებს საზოგადოების თხოვნასო. ჩვენ ვთხოვდობთ,—გამეორებს ამ „მეგობარმა“ ჩვენის და ბ-ნი „ინის“ თანდასწრებით ბ-ნი გარნოვიც წინაშე ის სიტყვები, რომელიც მას ამ უკანასკნელმა გადასცა; ეს იქნება, რუსები რომ იტყვიან, „очная ставка“, და აქ ჭეშმარიტება გამოირვევა. თუ ამ ჩვენს მოთხოვნას ბ-ნი „ინა“ არ შეასრულებს, მაშინ იგი უფლებას მოკვდამს, ერთხელ კიდევ საჭიროთ ვსთქვათ, რომ იგი ამ შემთხვევაშიაც სტყუის.

ერთი რამ კიდევ გვინდა ვკითხოთ მატოვცემულ კორესპონდენტს. როდესაც თავის შირველ წერილში საზოგადო საქმის წინააღმდეგობა გვიკვირნა, რათ არ მოიყვანა ის ჩვენი სიტყვები, რომლის შესახებაც ეხლა დაზარაობს—„მართალია, თქვენ ეს ბრძანეთ“-ო; მაშინ სომ უფრო დასაბუთებული იქნებოდა მისი ბრძანება! ან მეორე წერილში რათ უარყო ის სიტყვები, რომელიც შირველ წერილში მოგვაწოდა—„აფთიაქი საზოგადოებას არ მოგატანთ“-ო? იქნება მაშინაც „მეგობარმა“ გადასცა მატოვცემულ კორესპონდენტს—ბ. კიკალიშვილმა ეს სთქვაო—და, როცა ჩვენ ვასუხი გავუცით, მხოლოდ მაშინ გაიგო, რომ ბ. კიკალიშვილს ნამდვილათ სულ სხვა უთქვამს. სახამ რასმე დასწერდეთ, უნდა კარგათ გაიგოთ ბ. „ინმა“, თორემ ხომ იცით—„ტყუილს მოკლე ფუნები აბია!“

ამით ვათავებთ ბასის პატრიარქს «ინთან».

კვირბრძოლა, მკითხველს სავსაოთხ ნათლათ დავანახეთ, თუ რა ჯურის კორესპონდენტია იგი: დღეს აღმა ხნავს, ხვალ დადმა; დღეს ერთს ღაპარაკობს, ხვალ — მეორეს. როცა თქვენი აზრის დამტკიცებელ ფაქტებს დაუსსკელებთ, ის ან იჭვის თვალთ შეხედვს ამ ფაქტებს, ან და დეტანსხუბათ, — მაგრამ იქვე თქვენს გულში ხელის ფათურს დაწვეებს — მართლაც თქვენ ეს სთქვით, მაგრამ გულში კი სულ სხვას ფიქრობდით! ამ გვარ მოწინააღმდეგეთან ბასის უბრალო წყლის ნაკვას, და ჩვენც ამ მიზეზის გამო ვემშვიდობებით მას; სოლო გამომშვიდობებისას არ შეგვიძლია ერთ ანბანურ ჭეშმარიტებასე არ მივუთითოთ: «მგონა ვიღაც ვიღაცებმა მასუხი გაკცეს», — «ერთი ჩემი მეგობრისათვის გადაუციათ და მან მე გადამეცა» — არ არის სარწმუნო საბუთი. ამგვარ საბუთსე დამყარებელი მსჯელობა — ეალბი მსჯელობა, და ამისთვის იგი გადაეწილია შერღობისაკან.

პ. კიკალიშვილი.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.

ქართულ დრამატულ საზოგადოების გამგეობა

აუწყებს საბრემიოთ წარმოდგენილ

პიესების ავტორებს.

რომ არც ერთი პიესა არ იქმნა პრემიით დაჯილდოვებული და დღეიდან ორის თვის განმავლობაში ავტორებს შეუძლიათ მოიკითხონ და უკანვე მიიღონ პიესები, ყოველ დღე დილის 11-დან 1-ს საათამდე; უნდა მიმართონ საზოგადოების კანტორაში აღმინისტრატორს ნახუცრიშვილს.

(1—3)

ნ ა ფ ი ც ი ვ ე ქ ი ლ ი ს თ ა ნ ა შ ე მ წ ე

კონსტანტინე იოსების ძე ჯაფარიძე

გადავიდა სუდებნი ქუჩაზე სახლი გამაზოვისა № 56.

(1—2)

გამოვიდა და იყიდა

ყველგან „ქართვ. შორის წერა-კით. გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნები:
I. შალბერი.

გუბნების ცოდნა.

26 სურათით.

თარგმანი პ. სურგულაძისა. ფასი 25 კაპ.

II. ი. გოგებაშვილი.

ასპიზების ომი.

ისტორიული ამბავი. ორის სურათით და ქარტით. ფასი 7 კაპ.

წიგნებს გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც. ადრესი: ტიფლის. Общество распростран. грамотности среди гузинъ.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1903 ГОДЪ (X ГОДЪ ИЗДАНИЯ)

На ежемѣсячный научно-философскій и литературный журналъ

НАУЧНОЕ ОБЗРѢНІЕ.

Подъ ред. М. Филиппова, при ближайшемъ участіи проф. С. Глазеналя, проф. Л. Петражицкаго и проф. В. М. Шимкевича.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 января 1902 года.

„Научное Обозрѣніе“ имѣеть цѣлью знакомить читателей въ общедоступной формѣ съ движеніемъ научной и философской мысли.

Продолжая слѣдовать своему популярному, но въ тоже время строго-научному направленію, редакція „Научнаго обозрѣнія“, при вступленіи въ десятый годъ изданія, рѣшила произвести существенныя улучшенія, путемъ привлеченія новыхъ научныхъ и литературныхъ силъ. Съ января 1903 года вводится:

НОВЫЙ ОТДѢЛЪ БЕЛЛЕТРИСТИКИ

(романы, повѣсти, драмы, стихотворенія).

Въ отдѣлѣ журнальнаго обзора редакціей обращается вниманіе на статьи, помѣщаемыя въ научныхъ и литературныхъ органахъ преимущественно иностранныхъ, причемъ имѣются въ виду въ особенности читатели, не имѣющіе возможности слѣдить за иностранною печатью. — Въ отдѣлѣ общественныхъ наукъ будутъ помѣщаться также статьи изъ области ученія о правѣ и государствѣ. Редактированіе трехъ научныхъ отдѣловъ приняли на себя: отдѣла „научныхъ новостей“ проф. С. П. Глазеналя, отдѣла социальна-юридическаго проф. Л. Петражицкій и отдѣла биологическихъ наукъ — проф. В. М. Шимкевичъ.

Въ отдѣлѣ „Народный Университетъ“ (для Самообразования) принимаютъ участіе учредители русской парижской школы Общественныхъ наукъ: проф. Ю. Гамбаровъ, проф. Максимъ Ковалевскій, проф. М. Тамашевъ, Е. де-Роберти, члены одесскаго лекціоннаго комитета и другіе ученые.

Подписная цѣна: на годъ безъ доставки въ Спб. 7 р. Съ доставкой и пересылкою по всей Россіи 8 р. Разрочка по два рубля за четверть года. За границей 10 р. Адресъ Главной Конторы: С.-П., Малая Итальянская, д. 37.

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1903 годъ — (X г. изданія журнла).

„ХОЗЯИНЪ“

Подписная цѣна: на годъ 6 руб., на полгода 3 руб., на мѣс. 60 коп. съ пересылкой.

За границу: на годъ 8 руб., на полгода 4 руб. Отдѣльные номера 20 коп.

Разрочка по одному рублю въ теченіе первыхъ шести мѣсяцевъ.

Объявленія по 10 коп. за строчку петита въ одинъ столбець (4 столбца на страницѣ).

Подписчики въ 1903 г. получаютъ бесплатно слѣдующія 6 книгъ «БИБЛИОТЕКИ ХОЗЯИНА»:

- 1) КРУПНЫЙ РОГАТЫЙ СКОТЪ въ условіяхъ русскихъ хозяйствъ. Сборникъ статей покойнаго А. А. Армфельда. Съ портретомъ автора.
- 2) ВОЗДѢЛЫВАНІЕ КАРТОФЕЛЯ по даннымъ науки и практики. Проф. С. М. Богданова.
- 3) КОНЕВОДСТВО. Практическое руководство къ разведенію рабочихъ лошадей. Ф. Ольденбурга. Переводъ съ нѣмецкаго.
- 4) РЫБОВОДСТВО. Практическое руководство къ разведенію рыбъ. А. Веедера. Переводъ съ нѣмецкаго.
- 5) СѢМЕНА ЛУГОВЫХЪ ТРАВЪ и КЛЕВЕРА. Руководство къ опредѣленію и изслѣдованію сѣмянъ. Д-ра Л. Виттмана. Переводъ съ нѣмецкаго. В. Г. Дошельмаира. Съ 12 литографирован. таблицама и 25 рисунками.
- 6) КУЛЬТУРА КОРЗИНОЧНОЙ ИВЫ. В. Геммерлинга. Перев. съ нѣмецкаго. Съ 6 литографированными таблицами и 30 рис.

Контора и Редакція С.-Петербургу. Невскій, 92.

ვლექტრონით მშეკლავი სტამბა ძმ. თავართქილაძეებისა.